ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

სასამართლო სისტემის ელ-გამჭირვალობა საქართველოში, თბილისი, 2012

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
Institute for Development of Freedom of Information (IDFI)

„საქართველოს სასამართლო სისტემის საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება“

პროექტის ანგარიში

თბილისი, საქართველო

2012 წელი

© ყველა საავტორო უფლება დაცულია: **ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI). 2012.**

აკრძალულია ანგარიშში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წერილობითი ნებართვის გარეშე.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE
მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: კონსტანტინე ჯანჯღავა
რედაქტორი: გიორგი კლდიაშვილი
კვლევის შექმნაში მონაწილეობდნენ: კონსტანტინე ჯანჯღავა, გოგა თუშურაშვილი, ალექსანდრე ხეროდინაშვილი

წინამდებარე ანგარიში დაფინანსებულია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროექტის „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის" ფარგლებში, ამერიკელი ხალხის დახმარებითა და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით.

*ანგარიშში წარმოდგენილი ავტორისეული შეხედულებები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის **(EPF),** შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **(USAID)**, ამერიკის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის **(EWMI)** შეხედულებებს.*

ეს ანგარიში მოიცავს ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" **(IDFI)** მიერ პროექტის **„საქართველოს სასამართლო სისტემის საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება"** შედეგად გამოვლენილი მონაცემებისა და ტენდენციების ანალიზს, აგრეთვე პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებათა აღწერას, რაც ემსახურება საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ოფიციალური ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის გამჭვირვალობის და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის დონის ამაღლებას, აგრეთვე ინტერნეტის მეშვეობით ხელმისაწვდომი სასამართლო სტატისტიკის აღქმის გამარტივებას. განხორციელებული პროექტის შედეგად გამოვლენილი ტენდენციების აღწერა, ფართო გაგებით, აგრეთვე ემსახურება საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ზოგადად ინფორმაციის თავისუფლების განვითარებას, საქართველოს სასამართლო სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლების კუთხით.

ამასთან, წინამდებარე ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია მიმართულია ფართო მკითხველთა წრისათვის (პედაგოგები, სტუდენტები, ჟურნალისტები, იურისტები, სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირები), თუმცა სასურველი იქნებოდა მოცემული ანგარიშისადმი საქართველოს კანონმდებლისა და შესაბამის საჯარო მოსამსახურეთა ინტერესის გაღვივებაც - ანალიზმა ნათლად ცხადჰყო, რომ დღის წესრიგში მწვავედ დგას საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განსათავსებელი (პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი) საჯარო ინფორმაციის სტანდარტიზებისა და ვებ-გვერდების ტექნიკური გამართულობის პარამეტრების დადგენის საკითხი, რაც ინსტიტუტის აზრით მიღწევადია შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის შემუშავების, ადვოკატირებისა და საბოლოო ჯამში - უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისი მიღების გზით.

ინსტიტუტის აზრით, მნიშვნელოვან ელემენტს აგრეთვე წარმოადგენს საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე ინტეგრირებული ელექტრონული მომსახურების საშუალებებიც. აღნიშნული საშუალებანი, იქნება ეს ელექტრონული ფორმით გადასახადის გადახდის საშუალებანი, თუ სხვა სახის ელ.მომსახურებანი, საგრძნობლად ზრდიან სასამართლოს ხელისუფლების ორგანოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ინტერაქტივის დონეს. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინსტიტუტის ექსპერტთა მიერ ხსენებული ელემენტის მონიტორინგის შედეგების მიმოხილვაც.

სარჩევი

1

პროექტის შესახებ 4

2

ელექტრონული რესურსებისმონიტორინგი. 5

2.1

შეფასების პარამეტრები 8

2.2

მონიტორინგის შედეგები 15

2.3

შედეგების შეჯამება 36

3

ტექნიკური გამართულობა. 41

4

სასამართლო სტატისტიკის მოდული. 64

5

დასკვნის სახით. 70

1. პროექტის შესახებ

2011 წლის ოქტომბერში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (შემდგომში „ინსტიტუტი“) ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის“ პროგრამის ფარგლებში დაიწყო პროექტი „საქართველოს სასამართლო სისტემის საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება“ (შემდგომში „პროექტი“).

პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა სისტემის ელექტრონული რესურსების მონიტორინგის და სასამართლო სფეროს მუშაობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების ვიზუალიზაციის გზით საქართველოს სასამართლო სისტემის მუშაობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, სასამართლო სისტემაში არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროექტის ამოცანებს წარმოადგენდა:

- საქართველოს სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება;
- საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტურობის და გამჭვირვალობის ხელშეწყობა;
- ელექტრონული დემოკრატიის სტანდარტების დამკვიდრებით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- მოქალაქეების, არასამთავრობო სექტორისა და მედიის ჩართულობით საჯარო დაწესებულებებზე საზოგადოებრივი კონტროლის გაუმჯობესება;
- გამჭვირვალე სასამართლო სისტემის განვითარებით მოსახლეობის მხრიდან სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ხარისხის ამაღლება.

პროექტის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად ინსტიტუტის მიერ განსაზღვრულ იქნა საქმიანობის შემდეგი ორი ძირითადი მიმართულება - **საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ელექტრონული რესურსების მონიტორინგი** და **სასამართლო სტატისტიკის ვიზუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება.** პროექტის ფარგლებში ინსტიტუტის დამატებით საქმიანობად აგრეთვე განსაზღვრულ იქნა მისი გეგმიური შეხვედრები წევრის სტატუსით დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციაში.

2. ელექტრონული რესურსების მონიტორინგი

პროექტის მიზნებისათვის, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ელექტრონული რესურსების მონიტორინგი გულისხმობდა ინტერნეტ სივრცეში არსებულ საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის არსებობის, არსებული ინფორმაციის ხარისხისა და ვებ-გვერდების ტექნიკური გამართულობის (ელექტრონული ხელმისაწვდომობის) მდგომარეობის დადგენას.

საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ელექტრონული რესურსების მონიტორინგისათვის გამოყენებულ იქნა უკვე სხვადასხვა პროექტებში მრავალმხრივ აპრობირებული ინსტიტუტის შეფასების მეთოდოლოგია (იხ. მონიტორინგის მეთოდოლოგიის აღწერა შემდეგ ბმულზე http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Chapter%20IV%20geo.pdf - გვერდები 87-89).

პროექტის ფარგლებში, ინფორმაციული შიგთავსისა და ელექტრონული კომპონენტის შესაფასებლად შერჩეულ იქნა ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომი საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა 17 ოფიციალური ვებ-გვერდი. (16 საიტის მონიტორიგი განხორციელდა ელექტრონული შიგთავსის, ხოლო 17 საიტის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით):

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - www.constcourt.ge
საქართველოს უზენაესი სასამართლო - www.supremecourt.ge
თბილისის სააპელაციო სასამართლო - www.tbappeal.court.ge
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო - www.kutaisiappeal.court.gov.ge
თბილისის საქალაქო სასამართლო - www.tcc.gov.ge
ქუთაისის საქალაქო სასამართლო - www.kutaisi.court.gov.ge
ბათუმის საქალაქო სასამართლო - www.batumi.court.gov.ge
რუსთავის საქალაქო სასამართლო - www.rustavi.court.gov.ge
ფოთის საქალაქო სასამართლო - www.foti.court.gov.ge
თელავის რაიონული სასამართლო - www.telavi.court.gov.ge
მცხეთის რაიონული სასამართლო - www.mtskheta.court.gov.ge
გორის რაიონული სასამართლო - www.gori.court.gov.ge
ხაშურის რაიონული სასამართლო - www.khashuri.court.gov.ge
საჩხერის რაიონული სასამართლო - www.sachkhere.court.gov.ge
ზესტაფონის რაიონული სასამართლო - www.zestafoni.court.gov.ge
ზუგდიდის რაიონული სასამართლო - www.zugdidi.court.gov.ge
ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - www.msajuli.ge



პროექტის ფარგლებში დამონიტორინგებულ სასამართლოების ვებ-გვერდების რაოდენობასთან მიმართებაში აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ **ინტერნეტ სივრცეში საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა შესაძლებელი 41 ვებ-გვერდიდან მოიძიებოდა მხოლოდ 16 შესაბამისი ოფიციალური ვებ-გვერდი.**



ამასთან, ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა პროექტით გაუთვალისწინებელი, რიგგარეშე მონიტორინგიც. კერძოდ, ინსტიტუტმა შეისწავლა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებული და ინტერნეტის მეშვეობით ხელმისაწვდომი საქართველოს სასამართლოებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პროგრამა. კონკრეტული ხარვეზების აღმოჩენის შემდგომ, ინსტიტუტის ექსპერტებმა შეადგინეს შესაბამისი ცვლილება-დამატებების სარეკომენდაციო ფურცელი და მიაწოდეს იგი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.



საჯარო ინფორმაცია

საქართველოს სასამართლოები

პროგრამის აღწერა

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:
"1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას."
იხილეთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავი.

წარმოდგენილი პროგრამის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ ელექტრონულად (დასკანერებული ფორმით) გამოაგზავნოთ განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით.
თავის მხრივ, განცხადების ადრესატი ორგანიზაცია მის ოფიციალურ პასუხს დასკანერებს და გამოგიგზავნით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართზე. თუმცა, თქვენ შეგიძლიათ მობრძანდეთ და განცხადებაზე პასუხი დედნის სახითაც წაიღოთ.
იხილეთ საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურა.

ელექტრონული განცხადების ფორმა | *შეავსეთ განცხადება* | *განცხადების მიმდინარეობა* NEW | *პასუხი თქვენს განცხადებაზე*

სახელი: *
გვარი: *
პირადი N: * *მაგ. 11111111111*
მობილური ტელ.: * *მაგ. 599111111*
ელ. ფოსტა: * *მაგ. giorgi@yahoo.com*
ინფორმაციის კატეგორია: * სასამართლო პრაქტიკა
ადრესატი ორგანიზაცია: * საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
სკანირებული განცხადება: * Choose File No file chosen

განცხადება უნდა შეიცავდეს ადრესატის დასახელებას, მოთხოვნას, იყოს ხელმოწერილი და დასკანერებული.
დასაშვებია აიტვირთოს მხოლოდ PDF ან JPEG ფორმატის, მაქსიმუმ 4 MB ზომის ფაილი.

პროგრამის კონსულტანტი

განცხადების გაგზავნა

© *საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო*
ტელ.: (+995 32) 219-34-35

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებული ინფორმაციის გამოთხოვნის ელექტრონული პროგრამა
http://service.court.ge/public/

2.1. შეფასების პარამეტრები .

იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ელექტრონული რესურსების მონიტორინგის განხორციელება, ინსტიტუტი უპირველეს ყოვლისა პროექტის საწყის ეტაპზე შეუდგა იმ პარამეტრების დადგენა-გამოაშკარავებას, რომლებიც ასახავდნენ საქართველოს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობასთან დაკავშირებულ საჯარო ინფორმაციის სტანდარტს ვებ-გვერდებზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციული მასალის სახით.

ამ მიზნებისათვის ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა ათეულამდე სამართლებრივი აქტი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა პარამეტრების დაკონკრეტება და საქართველოს ამა თუ იმ სასამართლოსათვის ინდივიდუალურად პარამეტრების შემუშავება. **პარამეტრების სიმრავლიდან გამომდინარე ისინი დაყოფილ იქნენ ცხრა თემატურ (საერთო-აზრობრივ) ბლოკად.** პარალელურად განხორციელებულ იქნა სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლაც, რის საფუძველზეც დახვეწილ იქნა ის მინიმალური შეფასების პარამეტრები (სასამართლოთა ვებ-გვერდებზე განსათავსებელი ინფორმაციის ერთეულები), რომლებიც ყველაზე უფრო ოპტიმალურად შეიძლება მოაზრებულ ყოფილიყვნენ სამომავლოდ საქართველოს სასამართლო სისტემის ორგანოთა ვებ-გვერდებზე სავალდებულოდ განსათავსებელი ინფორმაციის მინიმუმად.

შედეგად შემუშავებულ იქნა ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხის შეფასების პარამეტრების ოთხი ცხრილი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოებისა და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების ოფიციალური ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხის შეფასების პარამეტრების ცხრილები.

ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხის შეფასების პარამეტრები			
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	საქართველოს უზენაესი სასამართლო	სააპელაციო სასამართლოები	რაიონული (საქალაქო) სასამართლოები
თემატური ბლოკი: 9 **პარამეტრი:** 164	**თემატური ბლოკი:** 9 **პარამეტრი:** 190	**თემატური ბლოკი:** 9 **პარამეტრი:** 208	**თემატური ბლოკი:** 9 **პარამეტრი:** 191

ქვემოთ მოყვანილია, პროექტის ფარგლებში საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის შეფასებისათვის შემუშავებული ინფორმაციული, იგივე თემატური ბლოკების აღწერა. იმის გათვალისწინებით, რომ თემატურ ბლოკებში შემავალი პარამეტრები ვარირებული სახით არიან წარმოდგენილნი სხვადასხვა სასამართლოების მიხედვით - თვალსაჩინოების მიზნით, გთავაზობთ თემატური ბლოკების ერთიან ვრცელ საილუსტრაციო ჩამონათვალს:

ბლოკი 1 **ზოგადი ინფორმაცია სასამართლოს შესახებ**

მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა:

* ინფორმაცია ხელმძღვანელობის შესახებ (თავმჯდომარის შესახებ ინფორმაცია, თავმჯდომარის მოადგილეების შესახებ ინფორმაცია[◊]);
* სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
* თითოეული მოსამართლის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;
* სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი მაგისტრატი მოსამართლეების შესახებ ინფორმაცია[◊];
* მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაციის ან შექმნილი სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიების შესახებ ინფორმაცია[◊];
* საერთო საკონტაქტო ინფორმაცია (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი, საფოსტო მისამართი, ელ.ფოსტა, სტრუქტურული ქვედანაყოფების სარეკვიზიტო ცნობარი, საერთო სასამართლოების სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი[◊], ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მუშაობის გრაფიკი);
* ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა;
* სასამართლოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია;
* სასამართლოს უფლებამოსილებათა და საქმიანობის წესის აღწერა;
* საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია[◊];
* სასამართლოს განსჯადობისა და განსჯადობისთვის მიკუთვნებულ საქმეთა განხილვის წესის აღწერა[◊];
* მომიჯნავე კომპეტენციის საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი და ა.შ.);
* ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული და სასამართლოს საქმიანობის ზოგადი აღწერა[◊].

ბლოკი 2 **სასამართლოს სტრუქტურა**

მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა:

* სასამართლოს სტრუქტურის სქემატური ნახატი (სტრუქტურული ხე);
* ინფორმაცია სასამართლოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს შესახებ[◊];
* ინფორმაცია სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შესახებ[◊];
* ინფორმაცია სასამართლოს პლენუმის, პალატების, კოლეგიების შესახებ[◊];
* სასამართლოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი;

[◊] კონკრეტული სასამართლოს ტიპის მიხედვით (საკონსტიტუციო, უზენაესი, სააპელაციო, რაიონული, საქალაქო) შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევა.

* სასამართლოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების საერთო საკონტაქტო ინფორმაცია;
* სასამართლოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციების, მიზნების და საქმიანობის წესის აღწერა;
* სასამართლოს აპარატის საშტატო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
* სასამართლოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობის შესახებ ინფორმაცია (სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, უფლება-მოვალეობების აღწერა, სამუშაო საკონტაქტო რეკვიზიტები);
* სასამართლოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ყველა თანამშრომლის შესახებ ინფორმაცია;
* სასამართლოს მენეჯერის შესახებ ინფორმაცია◊;
* მოსამართლის თანაშემწის შესახებ ინფორმაცია◊;
* სასამართლო სხდომის მდივნის შესახებ ინფორმაცია◊;
* მანდატურის სამსახურის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
* სასამართლოს მანდატურის მიერ ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და იარაღის გამოყენების შემთხვევებისა და წესის აღწერა;
* ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ზოგადი ინფორმაცია◊;
* ინფორმაცია საერთო სასამართლოების დეპარტამენტის შესახებ◊;
* საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის შესახებ ინფორმაცია◊.



მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა:

* სასამართლოს გამგებლობაში არსებული მონაცემთა ბაზები, მონაცემთა ბანკები, რეესტრები;
* საინფორმაციო სისტემების (მ.შ. შეზღუდული მოხმარების) აღწერა და მოხმარების წესები;
* სასამართლო საქმეთა მონაცემთა ბაზა;
* სასამართლოს აქტების (მ.შ. სასამართლოს მოთხოვნებისა და განკარგულებების) მონაცემთა ბაზა◊;
* სასამართლოს შიდა აქტების მონაცემთა ბაზა (მ.შ.სხდომათა ოქმები/საოქმო ჩანაწერები);
* მოქალაქეთა განცხადებების მონაცემთა ბაზა;
* საჯარო ინფორმაციის რეესტრი;
* საქართველოს მოსამართლეთა მონაცემთა ბაზა◊.



მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა:

* სასამართლოს ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ ცნობები (სასამართლოს თავმჯდომარის გამოსვლები და განცხადებები, მის ღონისძიებებში მონაწილეობისა და მისი სამუშაო

ვიზიტების შესახებ ცნობები, სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის საქმიანობის შესახებ ცნობები◊);

* სასამართლოს საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები;
* სასამართლოს პრესრელიზები, საინფორმაციო ფურცლები, ელექტრონული ბეჭდური მასალა;
* სასამართლოს საქმიანობის ამსახველი ფოტო, ვიდეო, აუდიო არქივი, პრესიდან ამონაკრებები;
* სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა დღის წესრიგი;
* სასამართლოს საქმიანობის კვარტალური და წლიური ანგარიშები;
* ყოველწლიური ანგარიში საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ◊;
* ყოველწლიური ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების შესახებ◊;
* სასამართლოს მიერ შეგროვებული/დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და შესაბამისი დინამიკური მაჩვენებლები;
* სასამართლოს საქმიანობის გეგმები და პროგნოზები;
* ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების შესახებ ცნობები;
* სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ ინფორმაცია;
* სტაჟირებისა და ტრენინგების შესახებ ინფორმაცია;
* მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის / წახალისების შესახებ ცნობები◊.

ბლოკი 5

სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები

მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა:

* სამართლებრივი აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ სასამართლოს ორგანიზებას, საქმიანობის წესს და უფლებამოსილებებს (საკანონმდებლო აქტი, რეგლამენტი, შინაგანაწესი, დებულება);
* სასამართლოს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ან/და კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი აქტების პროექტები და მათზე დართული განმარტებითი ბარათები;
* სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საინფორმაციო რესურსების შექმნასა და მათ მოხმარების წესებს, აგრეთვე ზოგადად ელექტრონულ მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
* სასამართლოს საქმიანობასთან უშუალოდ და ირიბად დაკავშირებული კონკრეტული საკანონმდებლო აქტები;
* სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული საერთაშორისო აქტები;
* სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული თავმჯდომარის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი აქტები◊;
* სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული პლენუმის აქტები◊;
* სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ სასამართლოს თანამშრომელთა და მოსამართლეთა ქცევის წესების ნორმებს;
* სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები;
* საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან, ხელმისაწვდომობასთან, გაცემასთან, გაცემაზე უარის თქმასთან, გასაიდუმლოებასთან და ინფორმაციის თავისუფლების სხვა საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები;

* იმ პროგრამების დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სასამართლო;
* სამართლებრივი აქტები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვებსა და სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან;
* სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ სასამართლოში სტაჟირების, ატესტაციის, ტრენინგების, პროფესიული დაოსტატების, სასწავლო ანდა სემინარების კურსის გავლის წესს;
* სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულებაში სამსახურში თანამდებობაზე მიღებისა და საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესს.

ბლოკი 6

სასამართლოს საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა:

* ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან განმარტებით საქმიანობას მიძღვნილი მასალები, რომლებიც მიეკუთვნება სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს (კონსულტაციები, განმარტებები, საინფორმაციო შეტყობინებები და მისთ.);
* ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა;
* ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა სასამართლოში მიღების წესის აღწერა;
* ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ სასამართლოში მიღებულ მიმართვათა განხილვის წესისა და ვადების აღწერა;
* საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობა და თანამდებობა, მისი საკონტაქტო რეკვიზიტები;
* საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები;
* სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები;
* სამართლოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
* სასამართლოს მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური სრული ანგარიში;
* საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელის გადახდისათვის განკუთვნილი რეკვიზიტები;
* სასამართლო ფორმები და მათი შევსების ინსტრუქცია;
* პირის მიერ თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის დეტალური წესის აღწერა◊;
* სასამართლოს განსჯადი საქმეების აღწერა◊;
* პროცესის ხარჯების სახეების, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშების წესის და მათი ოდენობის, სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების წესის აღწერა◊;
* დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესის აღწერა◊;
* საპროცესო ვადების აღწერა◊;
* სასამართლო შეტყობინების და დაბარების წესის აღწერა◊;
* პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების წესის აღწერა◊;

* სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების წესის აღწერა◊;
* საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების წესის აღწერა◊;
* სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის განკუთვნილი რეკვიზიტები;
* სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდისათვის განკუთვნილი რეკვიზიტები◊;
* საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია◊.

ბლოკი 7

სასამართლოს საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების და ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა:

* (სასამართლოს (მ.შ. მაგისტრატ სასამართლოს) სასარგებლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ) გამოცხადებულ ვაჭრობათა შესახებ განცხადებები და განხორციელებული შესყიდვების ამომწურავი ჩამონათვალი◊;
* შეკვეთების განთავსების შესახებ ინფორმაციის მომცველ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული;
* (სასამართლოს (მ.შ. მაგისტრატ სასამართლოს) სასარგებლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ) განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია)◊;
* სასამართლოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სასამართლოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

ბლოკი 8

სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფა

მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა:

ინფორმაცია სასამართლოს აპარატის საკადრო უზრუნველყოფის შესახებ

* საჯარო დაწესებულებაში ვაკანტურ თანამდებობათა ჩამონათვალი;
* ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი;
* თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის აღწერა;
* დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა;
* განცალკევებული საკონტაქტო ტელეფონის ნომერი სასამართლოს აპარატში ვაკანტურ თანამდებობათა შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

მოსამართლის თანამდებობის დაკავების შესახებ ინფორმაცია◊

* მოთხოვნების ჩამონათვალი, რომელიც წაეყენება მოსამართლეობის კანდიდატს;
* მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესის აღწერა;
* მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) წესის აღწერა;
* ინფორმაცია მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის წარმოშობის შესახებ;
* მოსამართლის დაწინაურების წესის აღწერა;
* მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლების აღწერა;
* მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების წესის და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესის აღწერა;
* მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების აღწერა;
* კანდიდატად რეგისტრაციისათვის მოთხოვნილი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

ბლოკი 9 — **სასამართლოს შესახებ ფინანსური ხასიათის ინფორმაცია**

მოიცავს ისეთი სახის საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, როგორიცაა:

* სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
* ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია;
* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოების დაფინანსების ნაწილის პროექტი◊;
* სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების პროექტი◊;
* საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/სასამართლოს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე განსაზღვრული ფინანსური განაკვეთები;
* სასამართლოს აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა თანამშრომლებსა და მოსამართლეებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);
* იმ პროექტებისა და პროგრამების სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სასამართლო;
* უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების სასამართლოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების /გრანტების ხარჯთაღრიცხვა;
* სასამართლოს თანამდებობის პირთა და წევრთა სამივლინებო ხარჯები;
* სასამართლოს თავმჯდომარის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია;
* სასამართლოს თავმჯდომარის ყველა მოადგილის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია;
* მოსამართლეთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები◊.

2.2. მონიტორინგის შედეგები

პროექტის ფარგლებში, ინსტიტუტის მიერ დამონიტორინგებულ იქნა ინტერნეტ სივრცეში არსებული საქართველოს სასამართლო ხელისუფლების 16 ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდი. მონიტორინგის პროცესში ინსტიტუტის ექსპერტების მიერ გამოყენებულ იქნა ზემოთ ხსენებული შეფასების მეთოდოლოგია და პარამეტრები.

დადგენილ იქნა სასამართლოთა ოფიციალური ვებ-გვერდების შემდეგი სამი ტიპის სარეიტინგო მაჩვენებელი:

ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხი

ვებ-გვერდის ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხი წარმოადგენს ამა თუ იმ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის არსებობისა და არსებული ინფორმაციის ხარისხის დონეს, რომელიც მოთხოვნილია ვებ-გვერდებზე გამოსაქვეყნებელ ინფორმაციის სტანდარტად ინსტიტუტის მიერ შესაბამისი პარამეტრების სახით.

ტექნიკური გამართულობისა და ელ. ხელმისაწვდომობის ხარისხი

ვებ-გვერდის ტექნიკური გამართულობისა და ელ.ხელმისაწვდომობის ხარისხი წარმოადგენს ამა თუ იმ ვებ-გვერდის ტექნიკური გამართულობისა და მასზე ელექტრონული მომსახურების საშუალებების ინტეგრაციის დონეს, რომელიც მოთხოვნილია ვებ-გვერდების გამართულობის სტანდარტად ინსტიტუტის მიერ შესაბამისი პარამეტრების სახით.

ვებ-გვერდის ჯამური რეიტინგი

ვებ-გვერდის ჯამური რეიტინგი წარმოადგენს ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხისა და ტექნიკური გამართულობისა/ელ. ხელმისაწვდომობის ხარისხის საშუალო არითმეტიკულს.

მონიტორინგმა გამოავლინა რიგი ტენდენციებისა, რომელთა უმეტესობა, სამწუხაროდ, ნეგატიურად ასახავს საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში ელ.გამჭვირვალობის დონეს. მნიშვნელოვანი პრობლემები აღინიშნება ვებ-გვერდების ტექნიკური გამართულობისა და ელ.ხელმისაწვდომობის ხარისხის კუთხითაც. ხსენებულ ტენდენციებისა და პრობლემატიკის ამსახველ მაჩვენებლებზე წინამდებარე ანგარიშში ქვემოთ იქნება საუბარი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სასამართლო ხელისუფლების 16 ორგანოს ოფიციალური ვებ-გვერდის კვლევის შედეგად გაირკვა, რომ **ინფორმაციული შიგთავსის სიუხვისა და ტექნიკური გამართულობის ინდექსით, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ვებ-გვერდები, საშუალოდ, განვითარების დაბალ საფეხურზე დგანან.**

აღნიშნულის დასტურია კვლევის შედეგად დადგენილი ის მაჩვენებლებიც, რომელთა მიხედვით:

საქართველოს სასამართლოების ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხი **საუკეთესო მაგალითზე** მხოლოდ **29,7%**-ს შეადგენს, ხოლო ტექნიკური გამართულობის ხარისხი კი - **55.4%**-ს.



მიუხედავად საერთო მაჩვენებლების დაბალი ფონისა, ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდის ხარისხობრივი მაჩვენებლები. მოცემული ვებ-გვერდი არამარტო გამოირჩევა შედარებით მაღალი მაჩვენებლებით საქართველოს სხვა სასამართლოების ვებ-გვერდებთან შედარებით, არამედ საქართველოს სხვა საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებს შორის ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხით საუკეთესო მე-3, ელ.ხელმისაწვდომობის ხარისხით საუკეთესო მე-2, ხოლო ჯამური რეიტინგითაც აგრეთვე საუკეთესო მე-2 ადგილს იკავებს. თუმცა, აგრეთვე გასათვალისწინებელია საჯარო დაწესებულებათა ელ.გამჭვირვალობის ზოგადი დაბალი დონე საქართველოში*.

* მოცემულია IDFI-ის მიერ 2011-2012 წლებში განხორციელებული პროექტის „საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი“ ფარგლებში დამონიტორინგებული საქართველოს 104 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდის მაჩვენებლებთან მიმართება. (იხ. შესაბამისი ინფორმაცია შემდეგ გმულზე http://www.idfi.ge/?cat=monitoring_2011_charts&lang=ka).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდი www.supremecourt.ge - საუკეთესო ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხის **(29.72%)**, საუკეთესო ელ.ხელმისაწვდომობის ხარისხის **(55.44%)** და ჯამური რეიტინგის **(42.58%)** მქონე ვებ-გვერდი IDFI-ს შეფასებითი პარამეტრების მიხედვით

სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით უმეტესობა პირველი ინსტანციის სასამართლოთა შესახებ, რა შემთხვევაშიც ინტერნეტ სივრცეში სახეზეა 10 სრულიად იდენტური ინტერფეისის მქონე ვებ-გვერდისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელთა ადმინისტრირებას, როგორც პროექტის მსვლელობისას გაირკვა, ახორციელებს სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტი“. ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადჰყო, რომ ხსენებული ვებ-გვერდების ჯგუფი მწვავედ საჭიროებს ინფორმაციული შიგთავსის რადიკალური გადასხვაფერების, შევსების და სტანდარტიზაციის განხორციელებას, აგრეთვე ტექნიკური გამართულობისა და ელ.ხელმისაწვდომობნის გაუმჯობესებას. **შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის სიუხვისა და ტექნიკური გამართულობის დაბალი ფონი, სწორედაც რომ ხსენებული ვებ-გვერდების ჯგუფის დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებლით არის განპირობებული.**

იდენტური ინტერფეისის მქონე 10 სასამართლოს ვებ-გვერდისაგან შემდგარი ჯგუფი, რომლის დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებელი განაპირობებს სასამართლო სისტემის ვებ-გვერდების ელ.გამჭვირვალობისა და ელ.ხელმისაწვდომობის დაბალ ფონს საქართველოში



ინსტიტუტის აზრით, საქართველოს სასამართლო სისტემის ელ. გამჭვირვალობის პრობლემატური ფონი და ვებ-გვერდების შედარებითი ტექნიკური გაუმართაობა წარმოადგენს იმ გარემოების ირიბ გამოძახილს, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს სასამართლოთა ვებ-გვერდებზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის და ვებ-გვერდების ტექნიკური გამართულობის მინიმალური სტანდარტი. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ხსენებული სტანდარტი ინსტიტუტის მიერ უკვე შემუშავებულ იქნა.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ სხვადასხვა სასამართლოთა ვებ-გვერდების ზოგად მაჩვენებლებზე საუბრისას, შესაძლებელია ხსენებულ მაჩვენებელთა ერთგვაროვანი ტიპის სასამართლოებთან მიმართებაში განხილვაც (საქართველოს უზენაესი სასამართლო და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, სააპელაციო სასამართლოები, რაიონული და საქალაქო სასამართლოები). ამ კუთხით, აღსანიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოების ვებ-გვერდების მაგვარი ჯამური რეიტინგები და მათთან შედარებით საკმაოდ მკვეთრი ჩამორჩენის მქონე საქალაქო და რაიონული სასამართლოების საშუალო ხარისხობრივი მაჩვენებლები.

კვლევამ ნათლად ცხადჰყო, რომ საქართველოში ინფორმაციულად ყველაზე გაუმჭვირვალე და ტექნიკურად გაუმართავი ვებ-გვერდები რაიონულ სასამართლოებს ეკუთვნის, ამასთან საქალაქო სასამართლოების ვებ-გვერდებიც მაგვარ ნეგატიურ ტენდენციას ავლენენ, წარმოადგენენ რა საქართველოში სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ყველაზე გაუმჭვირვალე და გაუმართავი რიგით მეორე ვებ-გვერდების ჯგუფს.



მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მაჩვენებლები შესაძლებელია განხლულ იქნეს აგრეთვე ინფორმაციული (თემატური) ბლოკების მიხედვითაც.

წინამდებარე ანგარიშში ქვემოთ მოყვანილ თემატური ბლოკების მიხედვით არსებულ მაჩვენებლებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული მაჩვენებლები, მათი წარმოდგენის თვალსაჩინოებისათვის, დაყოფილ იქნა ორ ძირითად კატეგორიად - **ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე** და **არსებული ინფორმაციის ხარისხი.** ამასთან, ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე, თავის მხრივ, წარმოადგენს ერთი მახასიათებლის - ინფორმაციის არსებობა/არ არსებობის, ხოლო არსებული ინფორმაციის ხარისხი კი - არსებული ინფორმაციის სისრულის, ინფორმაციის აქტუალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლების ერთობლიობას. ინფორმაციის სისრულეში იგულისხმება ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის მოცულობის ხარისხი, ინფორმაციის აქტუალობაში იგულისხმება ინფორმაციის ვებ-გვერდზე გაცნობის მომენტისთვის მისი ფასეულობის ხარისხი ანუ იგივე ინფორმაციული სიახლე, ხოლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში იგულისხმება ვებ-გვერდზე მისი მოძებნის სიმარტივის ხარისხი, მ.შ. ინფორმაციის ლოგიკური ადგილმდებარეობა. აღნიშნული მაჩვენებლები მიღებულ იქნა ინსტიტუტის მიერ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. გვ. 87 - „შეფასების კრიტერიუმები“ შემდეგ ბმულზე -

http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Chapter%20IV%20geo.pdf).

ინსტიტუტის ექსპერტების მიერ საქართველოს სასამართლო ხელისუფლების 16 ორგანოს ვებ-გვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაციის ცხრა თემატური ბლოკის მიხედვით შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ბლოკებს შიგნით განთავსების ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებლით **ზოგადი ინფორმაციის თემატური ბლოკი** იყო წარმოდგენილი (ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის **57%**), ამასთან თემატურ ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის ყველაზე მაღალი საშუალო ხარისხითაც **ზოგადი ინფორმაციის თემატური ბლოკი** გამოირჩეოდა - **55.2%**. ამასთან, ყველაზე

არასრულყოფილად ბლოკებს შიგნით, ტრადიციულად*, წარმოდგენილი იყო **ფინანსური ხასიათის ინფორმაციის თემატური ბლოკი** (ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის მხოლოდ **6.1%** საშუალოდ), რომელიც საშუალო ხარისხით - **50.1%** გამოირჩეოდა.

კვლევამ აგრეთვე ცხადჰყო, რომ თემატურ ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის ყველაზე დაბალი საშუალო ხარისხით - **21.8%**, **სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ თემატური ბლოკი** იყო წარმოდგენილი, რომელსაც, ამავე დროს, განთავსების რიგით მეორე ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი - **8.75%** გააჩნდა.

თემატურ ბლოკებს შიგნით ინფორმაციის განთავსების სხვა შემთხვევებზე საუბრისას აღსანიშნავია, განთავსების ძალზედ დაბალი საშუალო მაჩვენებლებისა და სხვა ბლოკებთან შედარებით საგრძნობი ჩამორჩენის მქონე ჯგუფი, რომელიც მოიცავს ისეთ თემატურ ბლოკებს, როგორებიცაა: **სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფა,** **სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული სასამართლებრივი აქტები, სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფო ქონების პრივატიზება, ხელშეკრულებების გაფორმება** და **ფინანსური ხასიათის ინფორმაცია.**

ჩამორჩენის მქონე ჯგუფი იკვეთება იმ თემატურ ბლოკების მაგალითზეც, რომელთა შიგნითაც არსებული ინფორმაცია გამოირჩევა დაბალი საშუალო ხარისხით. **სასამართლოს საინფორმაციო რესურსების, სასამართლოს სტრუქტურის, სასამართლოს საქმიანობის შესახებ ცნობების** და **სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ** თემატური ბლოკები წარმოადგენენ იმ საჯარო ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც ყველაზე არასრულ, ნაკლებად განახლებად და მოსაძიებლად რთულ ინფორმაციად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე,

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ელ.გამჭვირვალობის დაბალი ხარისხი განპირობებულია საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის საგრძნობი ნაკლოვანებით და არსებული ინფორმაციის არასრულყოფილად წარმოდგენის პრაქტიკით.

* ფინანსური ხასიათის ინფორმაციის ვებ-გვერდებზე განთავსება, დღესდღეობით, საქართველოში საჯარო დაწესებულებათა ელ.გამჭვირვალობის ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს. აღნიშნულის დასტურია, აგრეთვე, IDFI-ის მიერ 2010-2011 და 2011-2012 წლებში განხორციელებული საჯარო დაწესებულებათა ინტერნეტ რესურსების მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი შესაბამისი შედეგებიც.



ვებ-გვერდებზე არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხი	
ზოგადი ინფორმაცია სასამართლოს შესახებ	55,18%
სასამართლოს სტრუქტურა	23,99%
მონაცემები სასამართლოს საინფორმაციო რესურსების შესახებ	25,29%
ძირითადი კომპეტენციის სფეროში სასამართლოს საქმიანობის შესახებ ცნობები	22,83%
სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	39,6%
სასამართლოს საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას	53,9%
სასამართლოს საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები	21,79%
სასამართლოს საკადრო უზრუნველყოფა	37,84%
სასამართლოს შესახებ ფინანსური ხასიათის ინფორმაცია	50,12%

ბლოკი 1

ზოგადი ინფორმაცია სასამართლოს შესახებ

მოცემულ თემატურ ბლოკს სასამართლოების ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების მოცულობის ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი - 57% და ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის ყველაზე მაღალი საშუალო ხარისხი - 55,2% გააჩნია.

აღნიშნული მაჩვენებლების შედარებით მაღალი საშუალო ხასიათი უმეტესწილად განპირობებულია თვით ამ ბლოკში მოქცეული ინფორმაციის ბუნებით, რა შემთხვევაშიც, სასამართლოთა თავმჯდომარეების ვინაობა, ფოტოსურათები, ბიოგრაფიული მონაცემები და სასამართლოს ზოგადი საკონტაქტო ინფორმაცია, როგორიცაა მაგ. საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ზოგადი მისამართი, წარმოადგენს სავარაუდოდ ერთ-ერთ ყველაზე პირველ საჭიროებისამებრ განახლებად ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც ექვემდებარება ნებისმიერი დაწესებულებების მხრიდან ვებ-გვერდებზე განთავსებას მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომ ადგილას. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა სისტემის მაგალითზე, პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს საკონტაქტო ინფორმაციის განყოფილებებში სასამართლოების შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი რუკების და ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მუშაობის გრაფიკების ვებ-გვერდებზე განთავსების პრაქტიკა. ინსტიტუტს საკმაოდ მნიშვნელოვან გარემოებად მიაჩნია ვებ-გვერდებზე კონკრეტულ სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობის შესახებ მომხმარებელთათვის ტექსტური ინფორმაციის არსებობა და მისი განახლებადობა, რისი პრაქტიკაც, სამწუხაროდ, შეიძლება ითქვას რომ არ არსებობს. მაგალითად, მართალია ვებ-გვერდებზე მოიძიება მოსამართლეთა სახელები, გვარები, ფოტოსურათები და ბიოგრაფიული მონაცემები, თუმცა მომხმარებელს არ გააჩნია ვებ-გვერდის მეშვეობით საშუალება გადაამოწმოს ხსენებულ მოსასამართლეთა რაოდენობის შესაბამისობა რეალობასთან.

ამავე დროს, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, რომელიც ბლოკში შემავალ ერთ-ერთ ინფორმაციულ პარამეტრს წარმოადგენს, არ მოიძიება სასამართლოთა ვებ-გვერდებზე.



დადებითი მაგალითი: საერთო სასამართლოების სისტემის ცნობარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე - www.supremecourt.ge

დამონიტორინგებული 16 სასამართლოს* ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ყველას გააჩნდა ზოგადი ინფორმაციის თემატურ ბლოკში გაერთიანებული საჯარო ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 69%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 31%-ს.





მოცემულ თემატურ ბლოკს სასამართლოების ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების დაბალი საშუალო მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 26,8% გააჩნია, ხოლო ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხით კი ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი - 24% გააჩნია.

ხსენებულ ბლოკს შიგნით ინფორმაციის განთავსების დაბალი საშუალო მაჩვენებელი უმეტესწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ძალზედ ხშირ შემთხვევებში ისეთი ინფორმაციული პარამეტრები, როგორებიცაა სასამართლოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელ პირთა სამუშაო ელექტრონული ფოსტის მისამართები, მათი უფლება-მოვალეობების აღწერა და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები არ ქვეყნდება პროაქტიულად სასამართლოთა ვებ-გვერდებზე. იგივე შეიძლება ითქვას სასამართლოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციების, მიზნების და საქმიანობის წესის აღწერასა და სასამართლოს აპარატის საშტატო რაოდენობის შესახებ ინფორმაციის შესახებ. ამასთან, დაინტერესებულ მომხმარებლებს შეიძლება ითქვას, რომ არ გააჩნიათ შესაძლებლობა სასამართლოთა ვებ-გვერდებიდან შეიტყონ თუ რას წარმოადგენს, და რას საქმიანობს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია.

* ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვებ-გვერდის ინფორმაციული შიგთავსის გამჭვირვალობის შეფასება ინსტიტუტის პარამეტრების მიხედვით შეუძებელი იყო, რადგან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

სასამართლოს მეწეჯერი		
სასამართლოს მეწეჯერი	დიმიტრი წიაზაშვილი 51-36-67	218
კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები გაწყოფილება		
გაწყოფილების უფროსი	შალვა გრძელიშვილი	223
წამყვანი სპეციალისტი	ეკა გაბიდაური	116
სპეციალისტი	დიანა რთველიაშვილი 51-36-98	101
კურიერი	გიორგი ბერიაწიძე	113
ქსელის ადმინისტრატორი	აწდრეი რეზნიკოვი	115
სპეციალისტი (სამეურნეო საკითხებში)	კობა გახარია	115

უარყოფითი მაგალითი: სასამართლოს აპარატის ხელმძღვანელ პირთა ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, სამუშაო ელექტრონული ფოსტის მისამართები და უფლება-მოვალეობების აღწერა არ მოიძიება მცხეთის რაიონული სასამართლოს ვებ-გვერდზე - www.mtskheta.court.gov.ge

დამონიტორინგებული 16 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ყველას გააჩნდა ზოგადი სასამართლოს სტრუქტურის თემატურ ბლოკში გაერთიანებული საჯარო ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების მხოლოდ 6%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 94%-ს.





მოცემულ თემატურ ბლოკს სასამართლოების ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების რიგით მეორე მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 40,9% გააჩნია, ხოლო ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხით კი დაბალი საშუალო მაჩვენებელი - 25,3% გააჩნია.

ხსენებულ ბლოკს შიგნით სხვა ბლოკებთან შედარებით ინფორმაციის განთავსების მაღალი საშუალო მაჩვენებელი უმეტესწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოცემული თემატური ბლოკი ძალზედ ზოგადი ხასიათისაა და წარმოადგენს ამა თუ იმ ვებ-გვერდზე განთავსებულ მონაცემების ერთობლივ, კრებსით შეფასების საშუალებას. ამასთან, ისეთი ინფორმაციული პარამეტრები, როგორებიცაა საჯარო ინფორმაციის რეესტრი და მოქალაქეთა განცხადებების მონაცემთა ბაზა (კორესპონდენციის რეგისტრი - მიმართვათა რაოდენობა, სახეები და ა.შ.) სასამართლოს არცერთ ვებ-გვერდზე არ მოიძიება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საჯარო მოხმარების საინფორმაციო სისტემების ონლაინ მოხმარების საშუალებანი საკმაოდ იშვიათად გვხვდება სასამართლოების ვებ-გვერდების მომხმარებელს იმ მოცულობით, რაც იძლევა ვებ-გვერდზე უკვე განთავსებული ინფორმაციის უკეთესად კლასიფიცირებისა და აღქმის შესაძლებლობას.



დადებითი მაგალითი: განყოფილებაში „სასამართლოს აქტები“, შესაბამისი კატეგორიების მიხედვით არსებული საძიებო სისტემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ-გვერდზე - www.constcourt.ge

დამონიტორინგებული 16 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ყველას გააჩნდა საინფორმაციო რესურსების თემატურ ბლოკში გაერთიანებული საჯარო ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების მხოლოდ 12%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 88%-ს.





მოცემულ თემატურ ბლოკს სასამართლოების ვებ-გვერდებზე ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 33,1% გააჩნია, ხოლო ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხით კი ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი - 22,8% გააჩნია.

ხსენებული დაბალი საშუალო მაჩვენებლების არსებობა უპირველეს ყოვლისა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ, ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციული პარამეტრი, როგორიცაა სასამართლოს საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები (ახალი ამბები) საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა უმეტესობა ვებ-გვერდებზე წარმოდგენილი იყო მწირი რაოდენობითა და ძველი მდგომარეობით. ამასთან, ცალკეული განყოფილებები არ გააჩნდათ სასამართლოს პრესრელიზებსა და საინფორმაციო ფურცლებს. ანალოგიური შეიძლება ითქვას სასამართლოს საქმიანობის გეგმებისა და პროგნოზების შესახებაც. საინტერესო გარემოებას წარმოადგენს ის, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემისათვის ისეთი მნშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიცაა ყოველწლიური ანგარიში საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ დაინტერესებულ მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის და საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის ყოველწლიურად წარდგენილი ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ-გვერდზე ვერ იქნა მოძიებული. სამწუხაროდ, სასამართლოთა ვებ-გვერდებზე არ არსებობს სასამართლოს (აპარატების) საქმიანობის კვარტალური და წლიური ანგარიშების პროაქტიულად გამოქვეყნების პრაქტიკა. ამასთან, სიმწირით გამოირჩევა სასამართლოთა თავმჯდომარეების სხვადახვა ღონისძიებებში მონაწილეობის, სასამართლოთა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების შესახებ და სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ ცნობები. საგრძნობი პრობლემატიკა შეიმჩნევა სასამართლოების მიერ სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების კუთხითაც, რა შემთხვევაშიც, სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია ძალზედ ხშირად არ არის კატეგორებით

და ვიზუალიზაციის საშუალებებით (სექტორული და სვეტოვანი დიაგრამები) მდიდარი, ხოლო შესაბამისი დინამიკური მაჩვენებლების გამოქვეყნების პრაქტიკა თითქმის არ არსებობს.



საწყისი გვერდი → 2011 წლის სტატისტიკა

2011 წლის სტატისტიკა

2011 წელს ბათუმის საქალაქო სასამართლოში შემოსულ და განხილულ საქმეთა სტატისტიკა

სისხლის სამართლის საქმე:

შემოვიდა - 1119 საქმე;
დამთავრდა - 1180 საქმე;

ადმინისტრაციული სამართლის საქმე:

შემოვიდა - 723 საქმე;
დამთავრდა - 689 საქმე;

სამოქალაქო სამართლის საქმე:

შემოვიდა - 2133 საქმე;
დამთავრდა - 2092 საქმე;

საგამომძიებო ორგანოდან შემოსული შუამდგომლობები:

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განხილულ იქნა - 1204 საქმე;

უარყოფითი მაგალითი: კატეგორიებით ღარიბი სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია ბათუმის საქალაქო სასამართლოს ვებ-გვერდზე, რომელსაც არ გააჩნია დიაგრამებით ვიზუალიზაციის გამოხატულება - www.batumi.court.gov.ge

დამონიტორინგებული 16 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ყველას გააჩნდა სასამართლოს საქმიანობის შესახებ ცნობების თემატურ ბლოკში გაერთიანებული საჯარო ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების მხოლოდ 12%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 88%-ს.



ბლოკი 5	სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები

მოცემულ თემატურ ბლოკს სასამართლოების ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების ძალზედ დაბალი საშუალო მაჩვენებელი (რიგით მესამე ყველაზე დაბალი) - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 12,1% გააჩნია, ამასთან, ხსენებულ ბლოკს შიგნით არსებული ინფორმაციის ხარისხის საშუალო მაჩვენებელია - 39,6% .

სამართლებრივი აქტების თემატურ ბლოკს შიგნით ინფორმაციის ერთობლიობის განთავსების დაბალი საშუალო მაჩვენებელი, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ უმეტეს შემთხვევებში, საქართველოს სასამართლოების ვებ-გვერდებზე სამართლებრივი აქტების ფორმალური არსებობა დაფიქსირებულია განყოფილებით „კანონმდებლობა“, რომელშიც განთავსებულია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები, რაც თავისთავად არ გულისხმობს თვით სასამართლოების ვებ-გვერდზე შესაბამისი სასამართლებრივი აქტების ბაზების არსებობას. ხოლო იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც სამართლებრივი აქტების ძალზედ მწირი რაოდენობა მაინც მოიძიება ამა თუ იმ სასამართლოს ვებ-გვერდზე, ხსენებული აქტების უმეტესობა მოცემულია ძველი მდგომარეობით ანუ სამართლებრივი აქტები არ ექვემდებარებიან პერიოდულად განახლებული სახით სასამართლოთა ვებ-გვერდებზე განთავსებას. სწორედაც რომ აღნიშნული, განაპირობებს სამართლებრივი აქტების თემატურ ბლოკს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხის დაბალ მაჩვენებელს.

ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოების ვებ-გვერდებზე მოძიებადი არ არის ისეთი კონკრეტული აქტები, როგორებიცაა მაგალითად: სასამართლოს დებულება და შინაგანაწესი, იმ პროგრამების დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სასამართლო, სამართლებრივი აქტები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვებსა და სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან, სასამართლოს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ან/და კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი აქტების პროექტები და მათზე დართული განმარტებითი ბარათები.



უარყოფითი მაგალითი: კონკრეტული სასამართლებრივი აქტების მაგიერ დაინტერესებულ მომხმარებელთათვის საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულების შეთავაზება საჩხერის რაიონული სასამართლოს ვებ-გვერდზე - www.sachkchere.court.gov.ge

დამონიტორინგებული 16 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, 75 პროცენტს გააჩნდა სამართლებრივი აქტების თემატურ ბლოკში გაერთიანებული საჯარო ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი არ გააჩნდა არცერთ ვებ-გვერდს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი მთლიან 75%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 25 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.



ბლოკი 6

სასამართლოს საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

მოცემულ თემატურ ბლოკს სასამართლოების ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების რიგით მესამე მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 40,9% გააჩნია, ხოლო ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხით კი მეორე საუკეთესო მაჩვენებელი - 53,9% გააჩნია.

ხსენებული საშუალო მაჩვენებლების არსებობა უმეტესწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სასამართლოების ვებ-გვერდებზე ძირითადად წარმოდგენილია ვიდეო მასალისა და ბროშურების სახით. თუმცა, აქვე უნდა აღინშნოს, რომ ხსენებული ინფორმაციის მოძიება ვებ-გვერდებზე დაინტერესებულ მომხმარებელთათვის საკმაოდ გართულებულია. ამასთან, ძალზედ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვების, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა სასამართლოში (აპარატში) მიღების წესისა და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ სასამართლოში (აპარატში) მიღებულ მიმართვათა განხილვის წესისა და ვადების აღწერის ვებ-გვერდებზე განთავსების პრაქტიკა, რაც შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს.

ცალკე განხილვის ღირსია, ნებისმიერი საჯარო დაწესებულების ელ.გამჭვირვალობის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა მომხმარებელთათვის საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან/ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

ხსენებულთან მიმართებაში, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს ე.წ. FoI (Freedom of Information) განცალკევებული გვერდის (ქვე-განყოფილების) არსებობა საჯარო დაწესებულებათა (მ.შ. სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა) ვებ-გვერდებზე, სადაც განთავსებულია შემდეგი ინფორმაციის ერთობლიობის მინიმუმი:

- საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან,/ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული განმარტებითი ხასიათის ინფორმაცია;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობა (სახელი და გვარი) და თანამდებობა, მისი საკონტაქტო რეკვიზიტები;
- მომხმარებელთათვის შეთავაზებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ნიმუშები/ფორმები;
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან, ხელმისაწვდომობასთან, გაცემასთან, გაცემაზე უარის თქმასთან, გასაიდუმლოებასთან და ინფორმაციის თავისუფლების სხვა საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები;
- საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები (სასამართლოს გადაწყვეტილებების, განჩინებების, დადგენილებების, ბრძანებების ტექსტები, მათი კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ ცნობები *და ა.შ.*);
- საჯარო დაწესებულების მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში;
- საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

მართალია, ძალზედ იშვიათ შემთხვევებში, ვებ-გვერდებზე სახეზე იყო მომხმარებელთათვის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ შესაბამისი ბროშურები, თუმცა დამატებით, ვებ-გვერდებზე შედარებით ხშირად არსებული განცალკევებული განყოფილებები სათაურად „საჯარო ინფორმაცია“, წარმოადგენდნენ არა ზემოთაღწერილ FoI გვერდს შესაბამისი ინფორმაციული შიგთავსით, არამედ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებულ საქართველოს სასამართლოებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პროგრამაზე გადასასვლელ ბმულებს.

საქმის განხილვის საქმეწარმოება

საჯარო ინფორმაცია

სასამართლო საქმეების გაცნობა და სასამართლო მოქალაქეებისა

დადებითი მაგალითი: იშვიათი შემთხვევა, როდესაც ზესტაფონის რაიონული სასამართლოს ვებ-გვერდზე მომხმარებელს შეუძლია წაიკითხოს გზამკვლევს (ბროშურას) ინფორმაციის თავისუფლების შესახებ - www.zestafoni.court.gov.ge

დამონიტორინგებული 16 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ყველას გააჩნდა პირთა უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფის თემატურ ბლოკში გაერთიანებული საჯარო ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 37%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 63%-ს.



ბლოკი 7

სასამართლოს საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების და ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

მოცემულ თემატურ ბლოკს სასამართლოების ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების რიგით მეორე ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 8,8% გააჩნია, ხოლო ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხით კი ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი - 21,8%.

ხსენებული ძალზედ დაბალი საშუალო მაჩვენებლების არსებობა უმეტესწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ვებ-გვერდებზე არ არსებობს არც განხორციელებული შესყიდვების, არც განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების და არც გაფორმებულ ხელშეკრულებათა შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების პრაქტიკა. ხსენებული ბლოკიდან ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდებზე შეიძლება აღნიშნულ იქნეს ძალზედ იშვიათ შემთხვევებში, სასამართლოების მიერ ამა თუ იმ დაწესებულებებთან გაფორმებულ მემორანდუმთა შესახებ განყოფილებაში „სიახლეებში“ ხსენებით.

გამოცხადებულ ვაჭრობათა შესახებ განცხადებები, განხორციელებული შესყიდვების ჩამონათვალი, აუქციონების შესახებ ცნობები, გაფორმებულ ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები - ეს იმ ინფორმაციის ჩამონათვალია, რომელსაც ვერ წააწყდებით დაინტერესების შემთხვევაში საქართველოს სასამართლოების ვებ-გვერდებზე.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ილიას უნივერსიტეტში საჯარო ლექცია წაიკითხა

გამოქვეყნებულია: 03/04/2012

2012 წლის 3 აპრილს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

მემორანდუმის ფარგლებში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხა.

უარყოფითი მაგალითი: ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების შესახებ ცნობები ერთადერთი საინფორმაციო პარამეტრია, რომელიც შეიძლება მოიძიებოდეს ვაჭრობებისა და ხელშეკრულებების შესახებ თემატურ ბლოკიდან საქართველოს სასამართლოთა ვებ-გვერდებზე - www.supremecourt.ge

დამონიტორინგებული 16 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, მხოლოდ 37 პროცენტს გააჩნდა ვაჭრობებისა და ხელშეკრულებების შესახებ თემატურ ბლოკში გაერთიანებული საჯარო ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი არ გააჩნდა არცერთ ვებ-გვერდს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი მთლიან 37%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 63 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.





მოცემულ თემატურ ბლოკს სასამართლოების ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების დაბალი საშუალო მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 12,23% გააჩნია, ხოლო ხსენებულ ბლოკს შიგნით არსებული ინფორმაციის ხარისხის საშუალო მაჩვენებელია - 37,84%.

ხსენებული დაბალი საშუალო მაჩვენებლების არსებობა უმეტესწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს სასამართლოების ვებ-გვერდებზე თითქმის არასდროს არ მოიძიება განყოფილებები „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ინფორმაცია ამა თუ იმ სასამართლოს აპარატის საკადრო უზრუნველყოფის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სასამართლოების ვებ-გვერდებიდან* დაინტერესებული მომხმარებლისათვის შეუძლებელია მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვება, მაგალითად, საჯარო დაწესებულებაში ვაკანტურ თანამდებობათა შესახებ. ამასთან, მას არ გააჩნია შესაძლებლობა გაეცნოს ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარებისა და შესაბამისი პრეტენზიების წაყენების წესის აღწერას. სამართლოს აპარატში ვაკანტურ თანამდებობათა შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ინსტიტუტის აზრით, სასამართლოების ვებ-გვერდებზე უნდა განთავსდეს განცალკევებული საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, რისი პრაქტიკაც აგრეთვე არ არსებობს საქართველოში.

* თუ არ ჩავთვლით, მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ-გვერდზე არსებულ 2009 წლის ორ განცხადებას ვაკანსიის შესახებ.

საქართველოს სასამართლოების ვებ-გვერდების ელ.გამჭვირვალობის ერთ-ერთ სტანდარტს აგრეთვე სასურველია წარმოადგენდეს მომხმარებლისათვის დამატებითი ინფორმაციის სახით მოსამართლის თანამდებობის დაკავების შესახებ ინფორმაციის ერთობლიობის შეთავაზება ვებ-გვერდების მეშვეობით.



უარყოფითი მაგალითი: ცარიელი ქვე-განყოფილება „ვაკანსიები“ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ვებ-გვერდზე - www.batumi.court.gov.ge

დამონიტორინგებული 16 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, მხოლოდ 56 პროცენტს გააჩნდა საკადრო უზრუნველყოფის თემატურ ბლოკში გაერთიანებული საჯარო ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი არ გააჩნდა არცერთ ვებ-გვერდს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი მთლიან 56%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 44 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.



ბლოკი 9 **სასამართლოს შესახებ ფინანსური ხასიათის ინფორმაცია**

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემულ თემატურ ბლოკს სასამართლოების ვებ-გვერდებზე ბლოკებს შიგნით განთავსების მოცულობის ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი - ინსტიტუტის ვერსიით განსათავსებლად შესაძლებელი ინფორმაციის 6,1% გააჩნია, თუმცა ბლოკებს შიგნით არსებული ინფორმაციის საშუალო ხარისხის მაჩვენებელი - 50,1% შეადგენს.

რომ არა საქართველოს უზენაესი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე ფინანსური ხასიათის ინფორმაციის თემატურ ბლოკში შემავალი ძალზედ მწირი და ფრაგმენტარული ინფორმაციული პარამეტრების არსებობისა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სასამართლოები საერთოდ არ აქვეყნებენ პროაქტიულად თავიანთ შესახებ ფინანსური ხასიათის ინფორმაციას. სამწუხაროდ, ისეთი სოციალურად მნიშვნელოვანი საჯარო ინფორმაცია, როგორიცაა მაგალითად ბიუჯეტის შესრულების ბალანსი, სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების პროექტი, საშტატო ერთეულებზე განსაზღვრული ფინანსური განაკვეთები, თანამშრომლებსა და მოსამართლეებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია და მისთ. უცხო ხილს წარმოადგენს საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის ვებ-გვერდების ელ.გამჭვირვალობისათვის. რაც შეეხება, მოსამართლეთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების სასამართლოთა ვებ-გვერდებზე განთავსებას, აღწშნული პრაქტიკა საქართველოში არცერთი ვებ-გვერდის მაგალითზე არ არსებობს.

ინსტიტუტის მიერ გასულ სამ წელიწადს განხორციელებული კვლევების შედეგად გამოვლენილი ტენდენციების ანალოგიურად, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ვებ-გვერდების მაგალითზეც შეიძლება ითქვას, რომ წელსაც, ინფორმაცია საჯარო დაწესებულებების დაფინანსებასა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინტერნეტ სივრცეში მეტწილად გაუხსნელი რჩება.



დადებითი მაგალითი: უიშვიათესი შემთხვევა საქართველოს სასამართლოების ელ.გამჭვირვალობის რეალობაში - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება „ბიუჯეტი“ და ფინანსური ხასიათის მინიმალური ინფორმაცია - www.supremecourt.ge

დამონიტორინგებული 16 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, მხოლოდ 12 პროცენტს გააჩნდა ფინანსური ხასიათის ინფორმაციის თემატურ ბლოკში გაერთიანებული საჯარო ინფორმაციის გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა

ვებ-გვერდების 6 პროცენტს, ხოლო ნახევარი და ნაკლები აგრეთვე 6%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 88 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.



2.3. შედეგების შეჯამება

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროექტის „საქართველოს სასამართლო სისტემის საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება“ ფარგლებში განხორციელებულ საქართველოს სასამართლო ხელისუფლების 16 ორგანოს ოფიციალური ვებ-გვერდის კვლევამ ცხადჰყო, რომ:

- საქართველოს სასამართლოების ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის საშუალო ხარისხი **ძალზედ დაბალი - 15.39%**-ია, ხოლო ტექნიკური გამართულობის საშუალო ხარისხი კი **საკმაოდ დაბალი - 40.12 %**;
- საქართველოს სასამართლოების ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხი **საუკეთესო მაგალითზე** მხოლოდ **29,7%**-ს შეადგენს, ხოლო ტექნიკური გამართულობის ხარისხი კი - **55.4%**-ს;
- საქართველოს სასამართლოების ვებ-გვერდების საშუალო ჯამური რეიტინგი, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციული გამჭვირვალობისა და ტექნიკური გამართულობის პროცენტულ მაჩვენებელთა საშუალო არითმეტიკულს **დაბალია - 27.76%**;
- ყველა მაჩვენებლით, იქნება ეს **სასამართლო ხელისუფლების ორგანოს ყველაზე გამჭვირვალე თუ ტექნიკურად გამართული ინდივიდუალური ვებ-გვერდი,** საუკეთესო არის **საქართველოს უზენაესი სასამართლოს** ოფიციალური ვებ-გვერდი;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდი საუკეთესოა არამარტო საქართველოს სხვა სასამართლოების ვებ-გვერდებს შორის, არამედ **საქართველოს სხვა საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებს შორის** ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხით საუკეთესო მე-3, ელ.ხელმისაწვდომობის ხარისხით საუკეთესო მე-2, ხოლო ჯამური რეიტინგით აგრეთვე საუკეთესო მე-2 ადგილს იკავებს;
- უმეტესობა საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მაგალითზე, ინტერნეტ სივრცეში სახეზეა 10 სრულიად იდენტური ინტერფეისის მქონე ვებ-გვერდისაგან შემდგარი ჯგუფი, **რომლის დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებელი განაპირობებს სასამართლო სისტემის ვებ-**

გვერდების ელ.გამჭვირვალობისა და ელ.ხელმისაწვდომობის ზოგად დაბალ ფონს საქართველოში.

- **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა** და **სააპელაციო სასამართლოების ვებ-გვერდების მაგვარი ჯამური რეიტინგები და მათთან შედარებით საკმაოდ მკვეთრი ჩამორჩენის მქონე საქალაქო** და **რაიონული სასამართლოების საშუალო ხარისხობრივი მაჩვენებლები.**
- **საქართველოში ინფორმაციულად ყველაზე გაუმჭვირვალე და ტექნიკურად გაუმართავი ვებ-გვერდები რაიონულ სასამართლოებს ეკუთვნის, ამასთან საქალაქო სასამართლოების ვებ-გვერდებიც მაგვარ ნეგატიურ ტენდენციას ავლენენ, წარმოადგენენ რა საქართველოში სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ყველაზე გაუმჭვირვალე და გაუმართავი რიგით მეორე ვებ-გვერდების ჯგუფს.**
- **ინსტიტუტის მიერ შეფასების კრიტერიუმად გამოყენებულ ცხრა თემატურ ბლოკს შიგნით არსებული ინფორმაციის ამა თუ იმ რაოდენობით, საქართველოს სასამართლოთა ვებ-გვერდებზე ყველაზე ხშირად წარმოდგენილია:**

  - **ზოგადი ინფორმაციის თემატური ბლოკი**
    (თემატური ბლოკის საშუალოდ 57,03% სასამართლოთა 100% ვებ-გვერდებზე)
    (ინფორმაცია თავმჯდომარის/მოადგილეების შესახებ, მოსამართლეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, საერთო საკონტაქტო ინფორმაცია, დეტალური საქმიანობის ისტორია, უფლებამოსილებათა და საქმიანობის წესის აღწერა, სამოქმედო ტერიტორიის, განსჯადობისა და განსჯადობისთვის მიკუთვნებულ საქმეთა განხილვის წესის აღწერა);
  - **საინფორმაციო რესურსების თემატური ბლოკი**
    (თემატური ბლოკის საშუალოდ 40,94% სასამართლოთა 100% ვებ-გვერდებზე)
    (სასამართლოს გამგებლობაში არსებული მონაცემთა ბაზები, მონაცემთა ბანკები, რეესტრები. საინფორმაციო სისტემების აღწერა და მოხმარების წესები, სასამართლო საქმეთა მონაცემთა ბაზა, სასამართლოს აქტების მონაცემთა ბაზა, მოქალაქეთა განცხადებების მონაცემთა ბაზა, საჯარო ინფორმაციის რეესტრი საქართველოს მოსამართლეთა მონაცემთა ბაზა);
  - **პირთა უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფის თემატური ბლოკი**
    (თემატური ბლოკის საშუალოდ 40,86% სასამართლოთა 100% ვებ-გვერდებზე)
    (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან განმარტებით საქმიანობას მიძღვნილი მასალები, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სასამართლოსათვის მიმართვის წესის აღწერა, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ინფორმაცია, სასამართლო ფორმები, საქმის წარმოების წესის აღწერა, სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის განკუთვნილი რეკვიზიტები *და ა.შ.*).

- **ინსტიტუტის მიერ შეფასების კრიტერიუმად გამოყენებულ ცხრა თემატურ ბლოკს შიგნით არსებული ინფორმაციის ამა თუ იმ რაოდენობით, საქართველოს სასამართლოთა ვებ-გვერდებზე ყველაზე იშვიათად წარმოდგენილია:**
  - **ფინანსური ხასიათის ინფორმაციის თემატური ბლოკი**
    (თემატური ბლოკის საშუალოდ 6,1% სასამართლოთა 12% ვებ-გვერდებზე)
    (სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია, ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების შესახებ ინფორმაცია, სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოების დაფინანსების ნაწილის პროექტი, სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების პროექტი, კონკრეტულ საშტატო ერთეულზე განსაზღვრული ფინანსური განაკვეთები, სასამართლოს აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა თანამშრომლებსა და მოსამართლეებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, პროექტებისა და პროგრამების ხარჯთაღრიცხვა, სასამართლოს თანამდებობის პირთა და წევრთა სამივლინებო ხარჯები, მოსამართლეთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები *და ა.შ.*);
  - **ვაჭრობებისა და ხელშეკრულებების შესახებ თემატური ბლოკი**
    (თემატური ბლოკის საშუალოდ 8,75% სასამართლოთა 56% ვებ-გვერდებზე)

(სატენდერო განცხადებები, განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების ამომწურავი ჩამონათვალი, გაფორმებულ ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები *და ა.შ.*);

- **სამართლებრივი აქტების თემატური ბლოკი**
  (თემატური ბლოკის საშუალოდ 12,06% სასამართლოთა 75% ვებ-გვერდებზე)
  (რეგლამენტი, შინაგანაწესი, დებულება, სამართლებრივი აქტების პროექტები და მათზე დართული განმარტებითი ბარათები, სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული საკანონმდებლო აქტები, სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული საერთაშორისო აქტები, სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ სასამართლოს თანამშრომელთა და მოსამართლეთა ქცევის წესების ნორმებს, სამართლებრივი აქტები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვებსა და სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან, იმ პროგრამების დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სასამართლო, სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულებაში სამსახურში თანამდებობაზე მიღებისა და საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან, ხელმისაწვდომობასთან, გაცემასთან, გაცემაზე უარის თქმასთან, გასაიდუმლოებასთან და ინფორმაციის თავისუფლების სხვა საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები *და ა.შ.*).

- საქართველოს სასამართლოთა ვებ-გვერდებზე მომხმარებლისათვის **განლაგებით ყველაზე ხელმისაწვდომი, ამასთან ყველაზე სრული და განახლებადი ინფორმაცია წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაციის** თემატური ბლოკიდან - (ინფორმაციის ხარისხის შესაძლო 100%-დან საშუალოდ 55,18%).

- საქართველოს სასამართლოთა ვებ-გვერდებზე მომხმარებლისათვის მომხმარებლისათვის **განლაგებით ყველაზე რთულად ხელმისაწვდომი, ამასთან ყველაზე არასრული და მოძველებული ინფორმაცია წარმოდგენილია ვაჭრობებისა და ხელშეკრულებების შესახებ** თემატური ბლოკიდან - (ინფორმაციის ხარისხის შესაძლო 100%-დან საშუალოდ 21,79%).

ჩატარებული კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ვებ-გვერდების ერთობლიობის ინფორმაციული შიგთავსის სიუხვისა და ტექნიკური გამართულობის ინდექსით, საქართველოს რეალობა დაბალი განვითარების საფეხურზე დგას ელ. გამჭვირვალობის ხარისხობრივ კიბეზე. შეიძლება ითქვას, რომ გასულ წლებში ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების ანალოგიურად, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების სისტემის ინტერნეტ სივრცის გამჭვირვალობა არ ეხმიანება საზოგადოების ძირითად მოთხოვნებსა და ინტერესებს. ანგარიშში ნახსენებ ნებისმიერ „საუკეთესო“ ან ამა თუ იმ კრიტერიუმით „ყველაზე“ ხარისხიან ვებ-გვერდზე საუბრისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია საჯარო დაწესებულებათა და მათ შორის, სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა, ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის სიუხვისა და ტექნიკური გამართულობის დაბალი ხარისხის ზოგადი ფონი საქართველოში. საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის ნაკლოვანებით და არსებული ინფორმაციის არასრულყოფილად წარმოდგენის პრაქტიკას პირდაპირ ადასტურებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს 16 სასამართლოს ვებ-გვერდიდან ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხი საუკეთესო მაგალითზე მხოლოდ 29,7%-ს შეადგენს, ხოლო ტექნიკური გამართულობის ხარისხი კი - 55.44%-ს.

ელ.გამჭვირვალობის ზოგად დაბალ ფონზე, ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ამა თუ იმ შედარებით მაღალი მაჩვენებლის არსებობა ინდივიდუალურია და მეტყველებს მხოლოდ კონკრეტული სასამართლოს სავარაუდო კეთილ ნებაზე იყოს მეტ-ნაკლებად გამჭვირვალე და საზოგადოებაზე ორიენტირებული, თუმცა ხსენებულ მოტივაციის საპირისპიროდ, აგრეთვე შესაძლებელია მოყვანილ იქნეს სხვა რიგი სავარაუდო ფაქტორებიც.

მაგალითად, კვლევის შედეგად დადგენილი ის გარემოება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ-გვერდები წარმოადგენენ ინფორმაციულად ყველაზე გამჭვირვალე სასამართლოების ვებ-გვერდებს, თავისუფლად შესაძლებელია განპირობებულ იყოს იმ ფაქტორით, რომ ხსენებულ ორგანოებს გააჩნიათ საქმიანობის საჯარო მნიშვნელობით გამორჩეული სპექტრი, რა შემთხვევაშიც, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საკანონმდებლო ვალდებულების არარსებობის მიუხედავად, ხსენებული ფაქტორი უბიძგებს მათ იქონიონ ვებ-გვერდები და ინტერნეტის მეშვეობით საზოგადოებისათვის გახადონ ხელმისაწვდომი თავიანთი საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით რაიონული და საქალაქო სასამართლოების მაგალითზე, რა შემთხვევაშიც, სახეზეა ვებ-გვერდების შესაბამისი დაბალი მაჩვენებლები, ხოლო სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა“ - ორგანომ, რომელიც ადმინისტრირებას უწევს ხსენებულ ვებ-გვერდებს, მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა ინსტიტუტის მხრიდან, პროექტის მსვლელობისას არ გამოთქვა ინსტიტუტთან სამომავლო თანამშრომლობის სურვილი სასამართლოების ვებ-გვერდების ელ.გამჭვირვალობის დონის ასამაღლებლად.

საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ელ. გამჭვირვალობის დადგენილი ხარისხის ფაქტობრივი არსებობა, შეიძლება აგრეთვე მოაზრებულ იქნას სასამართლო ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოს მიერ გარკვეული პოლიტიკის ხაზის ან/და საკუთარი საქმიანობის ვებ-გვერდის მეშვეობით აფიშირების ავტონომიურ ნებად, და არა ვებ-გვერდის მეშვეობით საზოგადოებისათვის საჯარო ინფორმაციის ღიაობისაკენ მიმართული პოლიტიკისა ან სქემის ნაწილად. აღნიშნული ვარაუდის გასამყარებლად, ნებისმიერ სკეპტიკოსს შეუძლია მოიყვანოს ის ფაქტიც, რომ გასულ სამ წელიწადს განხორციელებული კვლევების შედეგად გამოვლენილი ტენდენციების ანალოგიურად, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ვებ-გვერდების მაგალითზეც, ინფორმაცია დაფინანსებასა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ, უმეტეს შემთხვევებში, პროაქტიულად გაუხსნელი რჩება, ამასთან, უმეტესობა სასამართლოებისა პირდაპირ არიდებს თავს სატენდერო და სახელშეკრულებო ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდებზე განთავსებას, რისი გამართლების პოვნას თვით სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტის“ წარმომადგენლებიც ცდილობდნენ ინსტიტუტთან შეხვედრისას.

საჯარო ინფორმაციის ვებ-გვერდებზე განთავსების საფუძვლების ნებისმიერი ვარაუდის, იქნება ეს სასამართლოს კეთილი ნება თუ სხვა ირიბი ფაქტორები, ანდა ზოგადად საკითხში გარკვევის ბუნდოვანების თავიდან აცილების გზით, ინსტიტუტის მყარ პოზიციას კვლავ წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან საჯარო დაწესებულებათა, მათ შორის სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა, ელ.გამჭვირვალობის რეგულირების კონკრეტულ კალაპოტში მოქცევის აუცილებლობა. მართალია, ინსტიტუტის აქტიური მონაწილეობით 2012 წლის მაისში საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში (III თავი - ინფორმაციის თავისუფლება) შევიდა საჯარო დაწესებულებებისათვის ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მავალდებულებელი ცვლილება-დამატებები, რომლებიც ამოქმედდება 2013 წლის 1 სექტემბრიდან, თუმცა ღია საკითხად ჯერ კიდევ რჩება ვებ-გვერდებზე განსათავსებელი საჯარო ინფორმაციის ჩამონათვალის და ვებ-გვერდების ტექნიკური გამართულობის პარამეტრების კანონქვემდებარე აქტით რეგულირების საკითხის დაკონკრეტება. სწორედაც, რომ წინამდებარე ანგარიშში მოყვანილი პარამეტრების ერთობლიობა, ეჩვენება ინსტიტუტს ყველაზე დეტალურ და ამომწურავ საშუალებად, რათა შესაბამისი სამართლებრივი მოწესრიგების პირობებში, საქართველოს სასამართლო ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას მიეცეს საშუალება მიიღოს სარგებელი ელექტრონული დემოკრატიის უპირატესობებისაგან.

შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ელ. გამჭვირვალობის საკითხთან მიმართებაში ინსტიტუტს აუცილებლად მიაჩნია საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან შემდეგი ელემენტარული სამართლებრივი ხასიათის ნაბიჯების განხორციელება*:

* შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ აქტის (მაგ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი და ა.შ.) მიღება.

- საჯარო ინფორმაციის იმ მინიმალური ჩამონათვალის, იგივე სტანდარტის განსაზღვრა, რომელიც სავალდებულო წესით დაექვემდებარება პროაქტიულ გამოქვეყნებას სასამართლოთა მხრიდან თავიანთ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე;
- სასამართლოთა ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განახლების პერიოდულობის დადგენა;
- სასამართლოთა ვებ-გვერდებისათვის წაყენებული ტექნიკური მოთხოვნების მინიმუმის დადგენა.



3. ტექნიკური გამართულობა

როგორც წინამდებარე ანგარიშში ზემოთ აღვნიშნეთ, მონიტორინგს დაქვემდებარებულ საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ტექნიკური გამართულობის დონის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ინსტიტუტის მიერ შემუშავებული შეფასების პარამეტრები, აღნიშნული პარამეტრები წარმოადგენენ შეფასების ცხრილის შიგნით **ცამეტ თემატურ ბლოკში** გაერთიანებულ **118 პარამეტრს.** მიგვაჩნია, რომ კვლევის შედეგებით დაინტერესებული მკითხველის ინტერესის საგანს შესაძლებელია, სხვა მაჩვენებლებთან ერთად, წარმოადგენდეს თემატურად დაყოფილი სასამართლოთა ვებ-გვერდების იმ ტექნიკური კომპონენტების ირგვლივ არსებული მაჩვენებლების გაცნობაც, რომლებიც ასახავენ საქართველოში სასამართლოთა ელ.ხელმისაწვდომობის რეალურ მდგომარეობას.

სანამ უშუალოდ კონკრეტულ ინფორმაციულ ბლოკებთან მიმართებაში კვლევის შედეგად გამოვლენილ შესაბამის მაჩვენებლების მიმოხილვას წარმოგიდგენდეთ, ორიოდე სიტყვით შევეხოთ ბლოკების შესახებ ზოგად ინფორმაციას.

თემატური ბლოკები წარმოადგენენ საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების პროგრამული და ვიზუალური ნაწილის შეფასებისათვის დაჯგუფებულ პარამეტრებს

ამგვარი ჯგუფების, იგივე ბლოკების, რაოდენობა ცამეტს ითვლის:

ბლოკი 1 — **ნავიგაცია**

- მოიცავს ისეთი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორიც არის: ვებ-გვერდის რუკა, მთავარი მენიუს სწორი პოზიციონირება, მენიუს დაყოფა მიზნობრივი ჯგუფების ინტერესების მიხედვით, მიმდინარე კატეგორიის დაფიქსირება, ვიდეო გიდის არსებობა *და ა.შ.*

ბლოკი 2 — **ძიება**

- მოიცავს ისეთი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორიც არის: ოფიციალურ ვებ-გვერდზე მარტივი ძიების ფუნქციის არსებობა, ოფიციალურ ვებ-გვერდზე დეტალური ძიების ფუნქციის არსებობა, ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზის მიხედვით ძიების ფუნქციის არსებობა, ძებნის ფუნქცია (რომელიც თარიღის მიხედვით მოახდენს მონაცემების ფილტრაციას) *და ა.შ.*

ბლოკი 3 — **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

- მოიცავს ისეთი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორიც არის: მინიმალური ფონტის ზომის განსაზღვრა, ტექსტში მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოყოფა სხვადასხვა საშუალებებით, ფერების რეგულაცია, ვიდეოს მასალის სწორ ფორმატში წარმოდგენა, სათაურების ფორმატირება, საბეჭდ ვერსიებში სიმბოლიკის თანდართვა, ოფიციალურ ვებ-გვერდზე საჯარო დაწესებულების კომპეტენციის ფარგლებში გამოყენებად ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის არსებობა და ა.შ.

ბლოკი 4 **საკონტაქტო ფორმები და წესები**

- მოიცავს ისეთი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორიც არის: ელექტრონული ფოსტების მისამართების სტანდარტების გათვალისწინება, საკონტაქტო ფორმის არსებობა, სასამართლოს ადგილმდებარეობის ინტერაქტიული რუქის არსებობა და სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდის ვებ-ადმინისტრატორისა და ვებ-გვერდის ფუნქციონირებასა და ინფორმაციულ განახლებაზე თვალყურის დევნაზე პასუხისმგებელი პირის/საჯარო დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ელ.ფოსტის მისამართი ტექნიკური ხასიათის შენიშვნების მისაწოდებლად.

ბლოკი 5 **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

- მოიცავს ისეთი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორიც არის: მნიშვნელოვანი ინფორმაციის ვებ-გვერდზე არქივირება, ვებ-გვერდის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ქვეყნიდან, სასამართლოს საქმიანობის თემატიკის შესაბამისი სიახლეთა ჩამონათვალი, ტექნიკურად გამართული სერვერი, ამოსაბეჭდი ვერსიის ფუნქციის არსებობა, RSS სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის განახლებაზე თვალყურის დევნის საშუალება, სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდის ძირითადი განყოფილებების უცხოენოვანი ვარიანტების არსებობა *და ა.შ*

ბლოკი 6 **WAP**

- მოიცავს ისეთი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორიც არის: WAP პროტოკოლის მხარდაჭერა, რეგისტრაციის საშუალება მობილური ტელეფონის საშუალებით და გადასახადების და ჯარიმების გადახდა მობილური ტელეფონიდან.

ბლოკი 7 **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

- მოიცავს ისეთი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორიც არის: ვებ-გვერდის იდენტური ჩატვირთვა ბრაუზერებში Opera, Internet Explorer, Firefox, Chrome და Safari, ვებ-გვერდის ზომების გათვალისწინება სტანდარტების მიხედვით, ყველა ბრაუზერში პროგრამული კოდის იდენტური მუშაობა, ყველა გვერდისთვის ცალ-ცალკე გვერდის აღწერა და დასახელება, სათაურების პროგრამული კოდით ფორმატირება, „ჩემი საიტის“ ფუნქცია (ბუკმარკი) *და ა.შ.*

ბლოკი 8 **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

- მოიცავს ისეთი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორიც არის: ვებ-გვერდის ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან, გაზიარების ფუნქცია Facebook-ზე, გაზიარების

ფუნქცია Twitter-ზე ან სხვა სოციალურ სერვისებზე, კონტენტის შეფასების საშუალება, სასამართლოს ოფიციალური გვერდის არსებობა Facebook-ზე, სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ატვირთული სურათების პირდაპირი ლინკის მოპოვების საშუალება და კონტენტის გაზიარების/გავრცელების საშუალება ელექტრონული ფოსტის საშუალებით ვებ-გვერდიდან.

ბლოკი 9 **ელექტრონული ჩართულობა**

- მოიცავს ისეთი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორიც არის: ვებ-გვერდზე რუბრიკის "კითხვა-პასუხი" ან "ხშირად დასმული შეკითხვები" არსებობა, მომხმარებლის ოთახის ფუნქცია, შეთავაზების ინიცირების საშუალება პირდაპირ ვებ-გვერდიდან, ვებ-გვერდზე ონლაინ კომუნიკაციის საშუალება, ვებ-გვერდზე ოფიციალურ პირთა გამოხმაურება მოქალაქეთა წინადადებებზე და შეკითხვებზე *და ა.შ.*

ბლოკი 10 **ონლაინ სერვისები**

- მოიცავს ისეთი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორიც არის: სტატისტიკა უნიკალურ მომხმარებელთა შესახებ, სიახლეების გამოწერის ფუნქცია, ტენდერების საძიებო სისტემა, ინტერაქტიული ფორმის (მოსაკრებელი, ტენდერი, ვაკანსია, გადასახადი) არსებობა (ფორმების შევსების, ამობეჭდის ან გაგზავნის შესაძლებლობა პირდაპირ საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდიდან), *და ა.შ.*

ბლოკი 11 **უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ხელშეწყობა**

- მოიცავს ისეთი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორიც არის: ვებ-გვერდების გრაფიკული ელემენტების დამალვის ფუნქცია, ვებ-გვერდზე კლავიატურით სწრაფი ბრძანებების განხორციელების ფუნქცია, შრიფტის გაზრდის/დაპატარავების შესაძლებლობა *და ა.შ.*

ბლოკი 12 **უსაფრთხოება**

- მოიცავს ისეთი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორიც არის: HTTPS პროტოკოლის მხადაჭერა, CAPTCHA კოდის არსებობა საკონტაქტო ფორმებში და GET და POST-ის ტიპის ცვლადების ფილტრაცია.

ბლოკი 13 **დამატებითი პარამეტრები**

- მოიცავს ისეთი ტექნიკური პარამეტრების გამართულობასა და არსებობას, როგორიც არის: საძიებო სისტემებში ოპტიმიზაცია (SEO), ბმულების გამართულობა, მთლიანი დიზაინის შეფასება, დიზაინში სამგანზომილებიანი ობიექტების გამოყენება, ვებ-გვერდის Favicon-ბის გამოყენება, ს.დ-ის ინფორმაციის ფილტრაცია და სორტირება *და ა.შ.*


ვებ-გვერდების ელექტრონული კომპონენტის
საშუალო მაჩვენებლები
70
60
50
40
30
20
10
0
69.28%
40%
49.25%
39.71%
42.79%
0%
64.45%
7.56%
28.24%
23.04%
0%
7.84%
33.44%
ნავიგაცია
ძიება
მარტივად აღქმის კრიტერიუმები
საკონტაქტო ფორმები და ჩასვლები
ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან wap
სინტაქსურად გამართული ბრაუზერთან კოდი
ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
ელექტრონული ჩართულობა
ელექტრონული სერვისები
ონლაინ ზელედული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
ენასგრეხიება
დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები

ჩატარებული მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე გამოვლინდა, რომ უმრავლესობა ვებ-გვერდებს ნავიგაციის იდენტური პრობლემა აქვთ. საქართველოს სასამართლოების ვებ-გვერდებზე, მათი საქმიანობიდან გამომდინარე გვხვდება დიდი მოცულობის ინფორმაცია, ამიტომ საჭიროა კატეგორიების მიხედვით მათი გადანაწილება. მიღებული კატეგორიების რაოდენობა საკმაოდ დიდი გამოდის, რაც საჭიროებს მათი ვებ-გვერდზე შესაბამის განაწილებას - სწორედ ეს არის პირველი პრობლემა სასამართლოების ვებ-გვერდებზე. კატეგორიების გადანაწილება არ ხდება ლოგიკურად, მიღებული შედეგი ზოგჯერ ქაოტურია, რაც აბნევს მომხმარებელს და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში ქმნის ბარიერს.

ქვემოთ სურათზე, ყვითელი ხაზით მონიშნულია ვებ-გვერდის მენიუ (მათ შორის „მაუსის“ მიტანით გააქტიურებული მენიუ):

მაგალითი შედარებისთვის - თბილისის სააპელაციო სასამართლო, ვებ-გვერდის მენიუს პრობლემა

ზემოთ ნაჩვენებ მენიუს აქვს საკმაოდ ბევრი განშტოება, რაც მომხმარებელს უქმნის დისკომფორტს.

ამავე სურათში გვხვდება, მეორე პრობლემაც - მენიუს დიდი დასახელებები.

ავიღოთ ერთ-ერთი კატეგორიის მაგალითი:

ძირითადი კატეგორიის დასახელება „სასამართლო ფორმები“

მისი განშტოებები:

- „სასამართლო ფორმები სამოქალაქო საქმეზე“
- „სასამართლო ფორმები ადმინისტრაციულ საქმეზე“
- „შევსების ინსტრუქცია“
- „დამატებითი ფორმების სამუშაო ვარიანტები“

რადგან მომხმარებელმა გააქტიურა მენიუ „სასამართლო ფორმები“, იგი გათვითცნობიერებულია უკვე რომ ამ კატეგორიის განშტოებები თემატურად ეხება „სასამართლო ფორმებს“, შესაბამისად ყველა განშტოებაში „სასამართლო ფორმების“ ხსენება აღარ არის სავალდებულო. მენიუს განშტოებების სახელწოდება რაც უფრო კონკრეტული იქნება, მით უფრო გაუმარტივდება მომხმარებელს ვებ-გვერდზე ნავიგაცია, შესაბამისად ზემოთ აღნიშნული მენიუ შეიძლება ჩაითვალოს არაპრაქტიკულად.

დამონიტორინგებული 17 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ყველას გააჩნდა ნავიგაციის თემატურ ბლოკში გაერთიანებული პარამეტრების ნახევარზე მეტი.



ვებ-გვერდის ძიების მოდული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოდულია ნებისმიერ ინფორმაციულ რესურსში. სასამართლოს ვებ-გვერდები იყენებენ მხოლოდ მარტივ საძიებო სისტემას, დეტალური საძიებო სისტემა არც-ერთი რესურსში არ არის ინტეგრირებული. თუმცა ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს დახვეწილი საძიებო მოდულები, რომლებიც ემსახურებიან ერთ კონკრეტულ გვერდს.

მაგალითისთვის ავიღოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ-გვერდის „გადაწყვეტილებების“ გვერდის საძიებო სისტემა, რომელიც ემსახურება მხოლოდ „გადაწყვეტილებების“ გვერდს:



დადებითი მაგალითი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „გადაწყვეტილებების“ გვერდის ლოკალური საძიებო სისტემა

თუმცა მსგავსი ლოკალური საძიებო სისტემები იშვიათად გვხვდება.

საძიებო სისტემების მოდულებს აქვთ სხვა პრობლემაც, ავტომატურად თითქმის არც-ერთ ვებ-გვერდს არ აქვს ქართული ფონტის გამოყენების საშუალება.

ვებ-გვერდის საძიებო სისტემების მაგალითი:


ძიება:
testi
კალენდარი
ორშ
სამ
ოთხ
ხუთ
პარ
შაბ
კვ
1
2

საქართველოს
საკონსტიტუციო
სასამართლო
სასამართლო
სასამართლოს აქტები
სხდომები
testi
ძიება
გადაწყვეტილებები
სიახლეები
15-08-2012
ინფორმაცია № 529
სარჩელთან დაკავშირებით
საიდან:
01

GEORGIAN
ENGLISH
testi
ძიება
ფოტოგალერეა
სტრუქტურა


ენის არჩევა:
GEO
ENG
testi
კანონმდებლობა
კონტაქტი



უარყოფითი მაგალითი - საქართველოს სასამართლოების ვებ-გვერდების საძიებო სისტემებში ქართული ფონტის მხადაჭერის უქონლობა

დამონიტორინგებული 17 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, 94 პროცენტს გააჩნდა ძიების თემატურ ბლოკში გაერთიანებული პარამეტრების გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 18 პროცენტს, ხოლო ნახევარი და ნაკლები 76%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 6 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.



სასამართლოების ვებ-გვერდების მარტივად აღქმის კრიტერიუმების დარღვევას პირველ რიგში იწვევს იმ სასამართლოების სია, რომლებიც შექმნილია იდენტური ინტერფეისით.

იდენტური ინტერფეისით შექმნილი სასამართლოების ვებ-გვერდები

ზემოთ აღნიშნულ ვებ-გვერდებზე გამოყენებულია ფერთა ისეთი კომბინაცია და ვებ-გვერდის სტრუქტურა, რომელიც არ არის მიზანშეწონილი ვებ-გვერდების დიზაინში.

ასევე დეტალები, რომლებიც განაპირობებს მომხმარებელთა კომფორტს და ასევე საძიებო სისტემებში ოპტიმიზაციას ხშირ შემთხვევაში იგნორირებულია. ყველაზე ხშირად არ ითვალისწინებენ URL-ს სწორი გენერაციის ფორმებს, URL - ვებ-გვერდის სრული მისამართი გვერდებზე გადასვლის შემდგომ უნდა იყოს გენერირებული ისეთი იერარქიით როგორითაც მომხმარებელი მოძრაობს ვებ-გვერდზე - თუ მომხმარებელი იმყოფება სიახლეების კატეგორიაში ვებ-გვერდის URL უნდა იყოს შემდეგი ფორმატის: www.site.gov.ge/news და არა შემდეგი ფორმატის: www.site.gov.ge/?cur_category=1

საჯარო დაწესებულებების URL მაგალითი:



დადებითი მაგალითი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდის ბმულის გენერირების სწორი ფორმა

დამონიტორინგებული 17 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ყველას გააჩნდა მარტივად აღქმის კრიტერიუმების თემატურ ბლოკში გაერთიანებული პარამეტრების გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 29%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 71%-ს.



ბლოკი 4 **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო ფორმებისა და წესების დაცვა აუცილებელია, რადგან ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა კომფორტული ურთიერთობის მომხმარებელსა და სასამართლოს შორის.

როგორც წინა ბლოკში ასევე ამ ბლოკშიც სიტუაციას ცვლის, 10 ვებ-გვერდი, რომელიც ერთნაირი ინტერფეისით არის შექმნილი:

იდენტური ინტერფეისით შექმნილი სასამართლოების ვებ-გვერდები

ავიღოთ ერთ-ერთი ვებ-გვერდი ზემოთ აღნიშნული 10 ვებ-გვერდიდან, სადაც პრაქტიკულად შეუძლებელია საკონტაქტო გვერდის მოძიება:



უარყოფითი მაგალითი - ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საკონტაქტო გვერდის მოძიების პრობლემა

ანალოგიური სიტუაცია არის დანარჩენ 9 ვებ-გვერდზე;

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დანარჩენ სასამართლოების ვებ-გვერდების საკონტაქტო გვერდები აკმაყოფილებენ სტანდარტებს და მათი გამოყენება საკმაოდ მარტივი და პრაქტიკულია.

ასეთი ვებ-გვერდებია:

- თბილისის საქალაქო სასამართლო - http://www.tcc.gov.ge/index.php?m=535
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=8
- თბილისის სააპელაციო სასამართლო - http://www.tbappeal.court.ge/?lan=geo&cat=5
- საქართველოს უზენაესი სასამართლო - http://www.supremecourt.ge/contact/

დამონიტორინგებული 17 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ყველას გააჩნდა საკონტაქტო ფორმებისა და წესების თემატურ ბლოკში გაერთიანებული პარამეტრების გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 59%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 41%-ს.



ბლოკი 5 ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობის ბლოკის ყველაზე მნიშვნელოვანი ვებ-გვერდის პარამეტრებია მულტიენოვანი ვერსიის არსებობა, მნიშვნელოვანი ინფორმაციის არქივირება და ტექნიკურად გამართული სერვერი.

სამწუხაროდ სასამართლოების უმეტესობას სხვა ენოვანი ვერსიები არ გააჩნია, რის გამოც ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა არ დგას სათანადო დონეზე. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, სასამართლოების ვებ-გვერდები უნდა იყოს მინიმუმ 3 ენაზე, ეს არის ქართული, ინგლისური და რუსული. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმს არც-ერთი ვებ-გვერდი არ აკმაყოფილებს.

რამოდენიმე ვებ-გვერდზე განთავსებულია ინგლისურ ენოვანი ვერსიის ღილაკი, თუმცა მასზე დაჭერით ვებ-გვერდი არ რეაგირებს.



უარყოფითი მაგალითი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ინგლისურ ენოვანი ვერსიის უფუნქციო ღილაკი

დამონიტორინგებული 17 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ყველას გააჩნდა ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობის თემატურ ბლოკში გაერთიანებული პარამეტრების გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 29%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 71%-ს.



ბლოკი 6 WAP

WAP (Wireless Application Protocol) ტექნოლოგიები ზოგადად მოძველებული და არააქტუალურია, თუმცა მას ჯერ კიდევ მოსახლეობის დიდი ნაწილი იყენებს საქართველოში, შესაბამისად თანამედროვე ვებ-რესურს უნდა გააჩნდეს ყველა თვისება და საშუალება, რამაც შეიძლება იგი გახადოს მეტად ხელმისაწვდომი, მიუხედავად იმისა, ტექნოლოგია მოძველებულია თუ არა.

სამწუხაროდ ამჟამად სასამართლოების არც-ერთი ვებ-გვერდი არ იყენებს ზემოთ აღნიშნულ ტექნოლოგიას. არ არის გამოყენებული არც სხვა თანამედროვე აპლიკაციები (PDA, Android და ა.შ.). ზოგადად ვებ-გვერდებისა ინტეგრაცია მობილური კავშირგაბმულობის საშუალებებთან საქართველოში ჯერ კიდევ არ არის განვითარებული. სამწუხაროდ ამჟამად საჯარო დაწესებულებების არც-ერთი ვებ-გვერდი არ იყენებს ზემოთ აღნიშნულ ტექნოლოგიას.

დამონიტორინგებული 17 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, არცერთს არ გააჩნდა მობილურ კავშირგაბმულობასთან ადაპტაციის (wap) თემატურ ბლოკში გაერთიანებული პარამეტრების გარკვეული ერთობლიობა.



ბლოკი 7 სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი უზრუნველყოფს ვებ-გვერდის სერვერის მხარეს და მომხმარებლის მხარეს ნორმალურ ფუნქციონირებას, აქვე იგულისხმება სხვადასხვა ბრაუზერებში ვებ-გვერდის იდენტური მუშაობა და იდენტური სტრუქტურის (ვიზუალის) გენერაცია.

სამწუხაროდ სასამართლოების ვებ-გვერდზე შეინიშნება, ისეთი პროგრამული ხარვეზები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ვებ-გვერდის უსაფრთხოებას. აღნიშნული ხარვეზები არის, საკმაოდ გავრცელებული და მარტივი, შესაბამისად ნებისმიერ პროგრამისტს შეუძლია მათი დაფიქსირება და ზოგიერთ შემთხვევაში ბოროტად გამოყენება.

ჩვენ სპეციალურად დეტალურ ინფორმაციას ხარვეზების შესახებ არ ვწერთ, რათა აღნიშნულ ვებ-გვერდებს არ შევუქმნათ პრობლემები.

დამონიტორინგებული 17 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ყველას გააჩნდა სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდის თემატურ ბლოკში გაერთიანებული პარამეტრების ნახევარზე მეტი.



ბლოკი 8 **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

დღეს-დღეობით სოციალური ქსელები ხდება მეტად აქტუალური, ამასთან ყველაზე პოპულარული ქსელები, როგორებიც არიან Facebook, Twitter, Flickr *და სხვა* იძლევა ვებ-გვერდების სოციალურ ქსელებთან ინტეგრაციის საშუალებას. ამგვარად, სასამართლოთა ვებ-გვერდები და მათი ელექტრონული სერვისები ხდება მეტად ცნობადი და გამოყენებადი. მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე გამოაშკარავდა, რომ ვებ-გვერდების უმეტესობაში იგნორირებულია სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია.

ინტეგრაციაში იგულისხმება, ვებ-გვერდში სოციალური ქსელის მოდულების განთავსება, როგორიც არის გაზიარების, შეფასების ფუნქცია და ასევე, სოციალურ ქსელში ოფიციალური გვერდის არსებობა. მონიტორინგში პრიორიტეტული იყო ორი სოციალური ქსელი, ეს არის Facebook-ი და Twitter-ი.

დადებითი მაგალითი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე სოციალური ქსელების მოდულის ინტეგრაცია

დამონიტორინგებული 17 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, 35 პროცენტს გააჩნდა სოციალურ ქსელებთან ინტეგრაციის თემატურ ბლოკში გაერთიანებული პარამეტრების გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 6 პროცენტს, ხოლო ნახევარი და ნაკლები 29%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 65 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.



ბლოკი 9 ელექტრონული ჩართულობა

სასამართლოების ვებ-გვერდებში ელექტრონული ჩართულობა ზოგადად დაბალ საფეხურზე დგას. სრულყოფილად ზემოთ აღნიშნული ბლოკის ყველა პარამეტრი არც-ერთ სასამართლოს ვებ-გვერდს არ აქვს დაკმაყოფილებული.

ყველაზე ხშირად გათვალისწინებულია ელექტრონული ჩართულობის ბლოკის მხოლოდ ერთი პარამეტრი - „ხშირად დასმული კითხვები“, ხოლო დანარჩენი პარამეტრების უმეტესობა უგულებელყოფილია.

დადებითი მაგალითი - თბილისის სააპელაციო სასამართლო

დამონიტორინგებული 17 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, 82 პროცენტს გააჩნდა ელექტრონული ჩართულობის თემატურ ბლოკში გაერთიანებული პარამეტრების გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 17 პროცენტს, ხოლო ნახევარი და ნაკლები 65%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 18 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.



ბლოკი 10 ონლაინ სერვისები

ყველა სასამართლოს ვებ-გვერდზე ონლაინ სერვისები დაწერილია მხოლოდ ვებ-გვერდისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გასაცემად, როგორიც არის მიმდინარე სხდომები, საქმეები *და სხვა.* აქვე გვხვდება სხვადასხვა სასამართლო ფორმები - გადმოსაწერი ვერსიები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული სერვისები არ არის საკმარისი, რადგან ონლაინ სერვისები, როგორიც არის მაგალითად „მომხმარებლის ოთახი", სადაც თავმოყრილი იქნება ნაკისრი ვალდებულებები, გადახდილი თანხები და სხვა უამრავი ინფორმაცია, ჯერ კიდევ არ არსებობს არც-ერთ სასამართლოს ვებ-გვერდზე.

დამონიტორინგებული 17 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ყველას გააჩნდა ონლაინ სერვისების თემატურ ბლოკში გაერთიანებული პარამეტრების გარკვეული ერთობლიობა, თუმცა ყველა ვებ-გვერდს გააჩნდა თემატური ბლოკის ნახევარი და ნაკლები პარამეტრები.



ბლოკი 11 უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ხელშეწყობა

უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ხელშეწყობა სასამართლოთა ვებ-გვერდებზე არ ხდება. იმგვარი ფუნქციები, როგორებიცაა: ტექსტის გახმოვანების ფუნქცია, კონტრასტულ ფერებში გადაყვანის ფუნქცია, კლავიატურის სწრაფი ბრძანებების განხორციელების ფუნქცია *და სხვა* არც-ერთ ვებ-გვერდზე არ არის გათვალისწინებული.

დამონიტორინგებული 17 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, არცერთს არ გააჩნდა უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თემატურ ბლოკში გაერთიანებული პარამეტრების გარკვეული ერთობლიობა.



ბლოკი 12 — უსაფრთხოება

სასამართლოების ვებ-გვერდები წარმოადგენენ ერთ-ერთ მნიშვნელოვანი რესურსს, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ უტყუარი ინფორმაციის მიღება და არამარტო, შესაბამისად სასამართლოს ვებ-გვერდების უსაფრთხოებაზე ზრუნვა ძალზედ მნიშვნელოვანია.

აუდიტის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე სიტუაცია არ იძლევა მოდუნების საშუალებას - სასამართლოების ვებ-გვერდებზე აღმოჩენილი ხარვეზები მეტად სახიფათოა და არც თუ ისე ძნელად გამოსაყენებელი პროგრამისტებისათვის.



უარყოფითი მაგალითი - რუსთავის საქალაქო სასამართლოს ვებ-გვერდის უსაფრთხოებაზე ტესტირება.

დამონიტორინგებული 17 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, 24 პროცენტს გააჩნდა უსაფრთხოების თემატურ ბლოკში გაერთიანებული პარამეტრების გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი არ გააჩნდა არცერთ ვებ-გვერდს, ხოლო ნახევარი და ნაკლები 24%-ს. დამონიტორინგებული ვებ-გვერდების 76 პროცენტის მაგალითზე მოცემული თემატური ბლოკი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.



ვებ-გვერდებში არსებული ხარვეზები როგორიც არის XSS, Sql injection, RFI Bugs და სხვა არ არის აღმოფხვრილი და ამჟამად ყველა ის ვებ-გვერდი სადაც, ზემოთ აღნიშნული ხარვეზები ფიქსირდება საფრთხის წინაშეა.

ბლოკში დამატებით პარამეტრებში შედის ისეთი მოდულები და ფუნქციები როგორიცაა: დიზაინის შეფასება, დიზაინში სამგანზომილებიანი ობიექტების გამოყენება, სორტირებისა და ფილტრაციის საშუალება *და სხვა*. ეს ის დამატებითი პარამეტრებია, რომლებიც უფრო კომფორტულ და ვიზუალურად სასიამოვნო გარემოს ქმნიან.

პირველ რიგში აღსანიშნავია სასამართლოების ვებ-გვერდები, რომლებიც შექმნილია ერთიდაიგივე ინტერფეისით, რომლებიც სამწუხაროდ, არ ჯდებიან სტანდარტებში და ზოგადად, ვებ-გვერდის გამოყენება დიზაინის გამო მომხმარებელს უქმნის დისკომფორტს. ზემოთ აღნიშნული ინტერფეისით შექმნილი ვებ-გვერდები ეკუთვნით შემდეგ სასამართლოებს:

უარყოფითი მაგალითი - რუსთავის საქალაქო სასამართლო

დამონიტორინგებული 17 სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ყველას გააჩნდა დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრების თემატურ ბლოკში გაერთიანებული პარამეტრების გარკვეული ერთობლიობა, რა შემთხვევაშიც, თემატური ბლოკის პარამეტრების ნახევარზე მეტი გააჩნდა ვებ-გვერდების 6%-ს, ხოლო ნახევარი და ნაკლები კი - 94%-ს.



4. სასამართლო სტატისტიკის მოდული

როგორც ანგარიშში ზემოთ აღვნიშნეთ, პროექტის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, ინსტიტუტის საქმიანობის რიგით მეორე ძირითად მიმართულებად განსაზღვრულ იქნა **სასამართლო სტატისტიკის ვიზუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება.**

პროექტის მიზნებისათვის, სასამართლო სტატისტიკის ვიზუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის (შემდგომში „სასამართლო სტატისტიკის მოდული“) შემუშავება გულისხმობდა მსოფლიოს ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითზე არსებული სტატისტიკის, მათ შორის სასამართლო სტატისტიკის, ვიზუალიზაციის თანამედროვე საშუალებების შესწავლის გზით, საქართველოს სასამართლოთა ვებ-გვერდების მომხმარებელთათვის იმგვარი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას, რომელიც გაუადვილებდა მათ სასამართლო სტატისტიკის აღქმასა და მონაცემების ურთიერთშედარებას.

ინსტიტუტის მიერ დასახული ამოცანის განსახორციელებლად, სასამართლო სტატისტიკის მოდულის უშუალო შექმნას წინ უძღვოდა ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფის მიერ საქართველოსა და საზღვარგარეთის თერთმეტი სახელმწიფოს: ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, დანიის სამეფოს, შვედეთის სამეფოს, ესტონეთის რესპუბლიკის, სერბეთის რესპუბლიკის, კორეის რესპუბლიკის, უკრაინის, რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის სასამართლოს ხელისუფლების ორგანოთა მიერ სასამართლო სტატისტიკისა და სხვა სახის საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების კვლევა (იხ. „სასამართლო სტატისტიკისა და სხვა სახის საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება სასამართლოების ვებ-გვერდებზე - საქართველო და საერთაშორისო პრაქტიკა“ შემდეგ ბმულზე - http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/sasamarTlo%20statistikisa%20da%20sxva%20saxis%20sajaro%20informaciis%20proaqtiuri%20gamoqveyneba%20sasamarTloebis%20veb-gverdebze.pdf).

ხსენებული ნაშრომის შექმნის პარალელურად, ინსტიტუტის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მოქმედი კანონმდებლობა და განახორციელა იმ სტატისტიკური ინფორმაციის კატეგორიზაცია, რომელთა პროაქტიული გამოქვეყნების ნაკლოვანებას განიცდიან საქართველოს სასამართლო სისტემის ორგანოთა ვებ-გვერდები.

სწრაფად განვითარებადი თანამედროვე ტექნოლოგიების მიუხედავად, ჩატარებულმა კვლევებმა ცხადჰყვეს, რომ სტატისტიკური ინფორმაციის ვიზუალიზაციის საუკეთესო ოპტიმალურ საშუალებებს ყველასათვის კარგად ნაცნობი სექტორული (Pie Chart) და სვეტოვანი დიაგრამების (Bar Chart) მეშვეობით გამოსახვა წარმოადგენდა.

მოდულის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტების - ინფორმაციის კატეგორიებისა და დიაგრამების სახეების დადგენის შემდგომ, ინსტიტუტი შეუდგა პროგრამული უზრუნველყოფის ვიზუალის, სტრუქტურისა და ფუნქციონალური მხარის განსაზღვრას. ექპერტები აღნიშნული მიმართულებით ხელმძღვანელობდნენ მომხმარებლისათვის სტატისტიკური ინფორმაციის აღქმის ეფექტური და მოსახერხებელი პროდუქტის შექმნის სურვილით.

სასამართლო სტატისტიკის მოდულის დიზაინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიჩნეულ იქნა დიაგრამების მომხმარებლის თვალისათვის ჰარმონიული ფერთა წყობის დადგენა. ამისათვის, შესწავლილ იქნა ფერთა თეორიის საფუძვლები და დადგენილ იქნა ჰარმონიული და კონტრასტული ფერების ურთიერთმიმართება დიაგრამებში - შედეგად შემუშავებულ იქნა სასამართლო სტატისტიკის მოდულის დიაგრამების ფერთა სქემა (პალიტრა). მომხმარებლის თვალისთვის ჰარმონიული ფერთა წყობის დადგენისას, აგრეთვე, გათვალისწინებული იქნა ის ფაქტორი, რომ თითოეული სექტორის და სვეტის ფერს შორის ყოფილიყო ადვილად შესამჩნევი განსხვავება. დიაგრამების ფერთა შეხამებისას გამოყენებული იქნა ფერთა RGB და HSL მოდელები. სექტორული დიაგრამის ფერთა შეხამებისას საწყის

ფერებად აღებული იქნა საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი სისხლის სამართლის საქმეების (წითელი), ადმინისტრაციული საქმეების (ლურჯი) და სამოქალაქო საქმეების (მწვანე) აღმნიშვნელი ფერები. დისჰარმონიის თავიდან ასაცილებლად, სექტორული დიაგრამის ფერების შეხამებისას, გამოყენებულ იქნა მინიმალური რაოდენობის სხვადასხვა ტონის მაქსიმალურად ვრცელი სიკაშკაშის დონის განფენა. შესაბამისად, თითოეული ტონის განფენა განისაზღვრა ხუთი სხვადასხვა ნათების დონით (სიმუქე-სიღიავე). ერთი ტონის ხუთი სხვადასხვა ნათების სექტორზე გადანაწილება ხდება ინსტიტუტის მიერ RGB და HSL მოდელების დახმარებით შემუშავებული მეთოდით. ერთი ტონის ხუთბიჯიანი ნათების საფეხურების შემდგომ შემოტანილია ახალი ტონი, რომლის ნათების სექტორების საფეხურზე გადანაწილებაც იგივე ურთიერთმიმართებით ხორციელდება, რაც წინამდებარე ტონის მაგალითზე. ამასთან, ხუთი ტონისგან შემდგარ ფერის წრეზე გამოყენებულია საწინააღმდეგო და ჰარმონიული ფერების ვარირების მეთოდი.



ადამიანის თვალისათვის სასიამოვნოდ მიჩნეული საწინააღმდეგო და ჰარმონიული ფერების ურთიერთმიმართების სქემები

სვეტოვანი დიაგრამის მაგალითზე. სვეტებზე ტონთა მინიჭების დროს აგრეთვე გათვალისწინებული იქნა ფერთა ჰარმონიის დაურღვევლობის პრინციპი. ინსტიტუტის მიერ, RGB და HSL მოდელების გამოყენებით, შემუშავდა სვეტებზე ტონთა გადანაწილების ოპტიმალური მეთოდი, რომელიც ეხმაურება სექტორულ დიაგრამის წრეზე გამოყენებული ტონთა გადანაწილების პრინციპს.



სასამართლო სტატისტიკის მოდულის სვეტოვან დიაგრამებზე ტონთა გადანაწილების მაგალითი.



სასამართლო სტატისტიკის მოდულის დიაგრამების ფერთა სქემა (პალიტრა)

დიაგრამების ფერთა სქემის შემუშავების შემდგომ დღის წესრიგში დადგა სასამართლო სტატისტიკის კატეგორიების განლაგებისა და დაყოფის პრინციპების დაკონკრეტება. სასამართლო სტატისტიკის მოდული დაიყო ორ მიმართულებად - სტატისტიკური მონაცემები და დინამიკური მონაცემები. სტატისტიკურ მონაცემებში წარმოდგენილია კონკრეტული წლის სტატისტიკური ინფორმაცია. აღნიშნულ მიმართულებაში სტატისტიკური მონაცემების ვიზუალიზაციის საშუალებას წარმოადგენს სექტორული დიაგრამა (Pie Chart). თითოეულ წელიწადში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები გადანაწილებულია განყოფილებებში - „სისხლის სამართლის საქმეები“, „სამოქალაქო საქმეები“ და „ადმინისტრაციული საქმეები“. თითოეულ განყოფილებაში სათაურების მიხედვით დალაგებულია მოდულში შეყვანილი სტატისტიკური მონაცემები. კონკრეტულ სათაურში წარმოდგენილი კატეგორიების არჩევის შემდგომ, მოდული სექტორული დიაგრამის საშუალებით ახდენს შეყვანილი მონაცემების ილუსტრირებას. მოდული დამატებით, აგრეთვე ახდენს იმ ქვეკატეგორიების ილუსტრირებას, რომლისგანაც შედგება სექტორული დიაგრამის მეშვეობით პროცენტულად შედარებული ყოველი კატეგორია.



სასამართლო სტატისტიკის მოდულის სექტორულის დიაგრამის კატეგორიებისა და ქვე-კატეგორიების განლაგება.

დინამიკურ მონაცემებში წარმოდგენილი სტატისტიკური მაჩვენებლები შედარებულია წლების მიხედვით. აღნიშნულ მიმართულებაში, სტატისტიკური მონაცემების წლების მიხედვით ერთმანეთთან შედარების ვიზუალიზაციის საშუალებას წარმოადგენს სვეტოვანი დიაგრამა (Bar Chart). დინამიკური მონაცემები ასევე დაყოფილია სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებად. თითოეულ განყოფილებაში წარმოდგენილი დინამიკური მონაცემები მოცემულია სათაურებად. კონკრეტულ სათაურში წარმოდგენილი კატეგორიები სვეტოვანი დიაგრამის სახით შედარებულია წლების მიხედვით. დინამიკური მონაცემების მოდული საშუალებას იძლევა კონკრეტული წლის მონაცემები წარმოაჩინოს თვეების მიხედვითაც.



სასამართლო სტატისტიკის მოდულის სვეტოვანი დიაგრამის კატეგორიების განლაგება.

მომხმარებლისათვის პროგრამული უზრუნველყოფის მოხმარების გაადვილების მიზნით, მოდულის ფუნქციონალური მხარე განისაზღვრა მაქსიმალურად ბევრი სტატისტიკური მონაცემის ერთ კონკრეტულ ფანჯარაში მოთავსებით, რათა მომხმარებელს საშუალება ჰქონოდა კონკრეტული ფანჯრიდან გაუსვლელად მიეღო მეტი სტატისტიკური ინფორმაცია.

ზემოთ აღწერილი ქმედებების შედეგად, უკვე 2012 წლის დასაწყისში ინსტიტუტს გააჩნდა ახალი მზა პროდუქტი - სასამართლოს ვებ-გვერდებზე ინტეგრირებადი **სასამართლო სტატისტიკის ვიზუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა.**

შემდგომ ეტაპად, ინსტიტუტის მიერ დასახულ იქნა პროგრამული უზრუნველყოფის კატეგორიებით შევსება. ამისათვის, თბილისის და ბათუმის საქალაქო სასამართლოებს გაეგზავნათ მოთხოვნა კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების მოწოდების მოთხოვნით. სასამართლოები იუწყებოდნენ, რომ მოთხოვნილი სტატისტიკური მონაცემები არ გააჩნდათ და მისი წარმოება გამოიწვევდა სასამართლოს საქმიანობის შეფერხებას. რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამავე შინაარსის სტატისტიკური მონაცემების მოთხოვნა დააკმაყოფილა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოგვაწოდა თბილისის საქალაქო სასამართლოსთან დაკავშირებული ის ინფორმაცია, რომლის გაცემაზეც თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი განაცხადა. მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე, ინსტიტუტი იძულებული იყო მოდული შეევსო იმ მონაცემებით, რომლებიც წარმოდგენილი იყო სასამართლოების ვებ-გვერდებზე. ვინაიდან სტატისტიკური მონაცემების სიუხვით გამოირჩეოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდი, მოდულის მონაცემებით შევსება დაიწყო მის ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით. საწყის ეტაპზე, მოდულში ასახვა ჰპოვა ინსტიტუტის ხელთ არსებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ

ბეჭდური სახით გამოცემულ 2009 წლის სტატისტიკური მონაცემების კრებულში - „მართლმსაჯულება საქართველოში“ მოყვანილმა მონაცემებმა. აგრეთვე, შეყვანილ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე განთავსებულ სასამართლოს მიერ გამოცემული 2010 წლის სტატისტიკური მონაცემების კრებულში „მართლმსაჯულება საქართველოში“ მოყვანილი მონაცემები და ოფიციალურ ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული საქართველოს საერთო სასამართლოების 2008-2011 წლების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები. პროექტის მიმდინარეობისას საქართველოს უზენაეს სასამართლოს ვებ-გვერდს დაემატა 2011 წლის სტატისტიკური მონაცემების კრებული „მართლმსაჯულება საქართველოში„ და 2012 წლის 6 თვის ძირითადი სტატისტიკური მონაცემები, რა ინფორმაციაც შევსებულ იქნა სტატისტიკის მოდულში ინსტიტუტის ანალიტიკოსის მიერ. ზემოთ ხსენებული მონაცემები მოდულში წარმოდგენილია ორ ენაზე - ქართულად და ინგლისურად.



საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე განთავსებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც შევსებულ იქნა ინსტიტუტის სასამართლო სტატისტიკის მოდულში.

სასამართლო სტატისტიკის მოდულთან დაკავშირებულ განსახორციელებელ ქმედებათა საბოლოო ეტაპად განისაზღვრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე სასამართლო სტატისტიკის მოდულის ინტეგრირება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ინსტიტუტი დაუკავშირდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ქვე-განყოფილებას. უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა გაცნობოდნენ ინსტიტუტის მიერ შექმნილ სასამართლო სტატისტიკის მოდულს. განხორციელდა სტატისტიკის მოდულის პრეზენტირება სასამართლო სტატისტიკის, პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების უფროსისა და თანამშრომელთა ვიწრო წრეში, რის საფუძველზეც 2012 წლის გაზაფხულზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ინსტიტუტის მხრიდან ინსტიტუტის დირექტორი და ასევე პროექტის მთელი სამუშაო ჯგუფი, East West Management Institute-ს წარმომადგენელი, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხრიდან - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მენეჯერი, სტატისტიკის განყოფილების უფროსი, სტატისტიკის განყოფილების წარმომადგენლები და IT სამსახურის ჯგუფი. შეხვედრისას განხილულ იქნა სასამართლო სტატისტიკის მოდულის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე ინტეგრაციის საკითხი. სასამართლოს მენეჯერმა გამოთქვა მზადყოფნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე სტატისტიკის მოდულის ინტეგრირების განსახორციელებლად. ასევე საუბარი იყო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღმავებაზეც. თანამშრომლობის შედეგად საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციებით დაიხვეწა სტატისტიკის მოდულის კატეგორიზაციის პრინციპები, აგრეთვე სასამართლოს ინიციატივით მოწოდებული იქნა ვებ-გვერდზე არარსებული სტატისტიკური მონაცემები, რა ინფორმაციაც აგრეთვე ასახულ იქნა სასამართლო სტატისტიკის მოდულში. ამჟამად, საქართველოს უზენაესი სასასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, მიმდინარეობს სასამართლო სტატისტიკის მოდულის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე ინტეგრირების საბოლოო ეტაპის განხორციელება.

5. დასკვნის სახით

ვთვლით, რომ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ პროექტის „საქართველოს სასამართლო სისტემის საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება“ ფარგლებში გამხორციელებულმა კომპლექსურმა ღონისძიებებმა შექმნეს, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პირობებში, ელექტრონული საშუალებების მეშვეობით საქართველოს სასამართლო სისტემის მუშაობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მყარი საფუძველი. თუმცა, ხსენებული ღონისძიებების შედეგი ქმნის მხოლოდ საწყის პლატფორმას, რაც აუცილებლად საჭიროებს საკითხით დაინტერესებასა და მის განვითარებას საქართველოს კანონმდებლის, სასამართლო ხელისუფლების შესაბამის ორგანოთა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა და შესაბამისი ექსპერტების ერთობლივი ძალისხმევით.

კვლევის საფუძველზე დადგინდა საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა სისტემის ელ.გამჭვირვალობისა და ვებ-გვერდების ტექნიკური გამართულობის დაბალი ხარისხი და მისი გამომწვევი კონკრეტული მიზეზები. პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა მონიტორინგმა თითოეული ინდივიდუალური სასამართლოს ვებ-გვერდთან მიმართებაში ცხადჰყო გარკვეული ინფორმაციის ნაკლოვანება და კონკრეტული ტექნიკური გაუმართაობები, რის შესახებაც სარეკომენდაციო ფურცლის მეშვეობით ეცნობა თითოეულ შესაბამის სასამართლოს*.

ხსენებულ ანგარიშში მოყვანილმა ანალიზმა ნათლად ცხადჰყო, თუ რა სახის ინფორმაციის ნაკლოვანებას განიცდის თითოეული ვებ-გვერდი, და რა სახის ტექნიკურ გაუმჯობესებებს საჭიროებენ ვებ-გვერდები. შესაბამისად, ინსტიტუტის მიერ შემუშავებული დეტალური რეკომენდაციების გათვალისწინების პირობებში, უკვე არსებობს საქართველოს სასამართლო სისტემაში დაცული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის რეალური წინაპირობა. თუმცა, განვმეორდებით, რომ საამისოდ უნდა არსებობდეს საქართველოს სახელმწიფოს ნება, უპრიველეს ყოვლისა, იმ ორგანოების მხრიდან დაინტერესების სახით, რომელთა ელ.გამჭვირვალობის პრობლემატურ საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტის გზებს შეეხებოდა პროექტით გათვალისწინებული ინსტიტუტის ერთწლიანი საქმიანობა. აღნიშნული კუთხით აღსანიშნავია სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტის“ სრული პასიურობა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკუთარი ვებ-გვერდის ელ.გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლებისაკენ გამოხატული ძალისხმევა.

ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აგრეთვე ცხადჰყვეს, რომ მთელს მსოფლიოში, სასამართლო სტატისტიკა სასამართლო ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებისათვის ქვეყანაში მიმდინარე მართლმსაჯულების პროცესების შესახებ ძალზედ უხვი და მდიდარი ინფორმაციის მიწოდების მძლავრ და ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკას საქართველოს უზენაესი სასამართლოც ფლობდა, თუმცა ელექტრონული ფორმით ხსენებული ინფორმაციის მიწოდება ბადებს ინფორმაციის ვიზუალური აღქმის გამარტივების საშუალებების დიდ სპექტრს, რა საშუალებებითაც საქართველოს რეალობა, ინსტიტუტის მიერ პროექტის დაწყებამდე, არ გამოირჩეოდა. მრავალთვიანი შრომის შედეგად ინსტიტუტმა შექმნა კონკრეტული ეფექტური პროდუქტი - სასამართლოს სტატისტიკის მოდული, რომლის ინტეგრირებაც დღესდღეობით შესაძლებელია ნებისმიერი სასამართლოს ვებ-გვერდზე, რაც უდავოდ აამაღლებს საზოგადოების მიერ მისთვის საინტერესო ინფორმაციის აღქმის პროცესს.

ნებისმიერ შემთხვევაში, კონკრეტული სასამართლოს მხრიდან გამოვლენილი ნება, იქნება ეს კონკრეტული საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების, ვებ-გვერდის ტექნიკური გამართვის თუ სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების გაადვილების ნება, არ შეიძლება აღებულ იქნას

* ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მოთხოვნის შემთხვევაში, აქვს საშუალება ინსტიტუტის მხრიდან უანგაროდ მიიღოს კონკრეტული სასამართლოს ვებ-გვერდის გაუმჯობესების სარეკომენდაციო ფურცლის ელექტრონული ასლი. მოგვწერეთ მისამართზე: info@idfi.ge.

საქართველოს სასამართლო სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტის საზომად. საჭიროა სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა ელ. გამჭვირვალობის კონკრეტული სტანდარტის საკანონმდებლო რეგულირების რეჟიმში მოქცევა, რა პროცესისათვის ინსტიტუტი ფლობს ყველა საჭირო პრაქტიკულ, ანალიტიკურ, საკონსულტაციო-სარეკომენდაციო და სამართლებრივ დასაბუთებას.

ინსტიტუტი იტოვებს იმედს, რომ საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა სისტემის ელ.გამჭვირვალობისა და ელ. ხელმისაწვდომობის ხარისხის გაუმჯობესებაზე გაწეული შრომა ფუჭად არ ჩაივლის და რომ უახლოეს მომავალში, საქართველოს საზოგადოებას მიეცემა საშუალება მიიღოს ის სიკეთე, რასაც წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით სასამართლო საქმიანობაზე თვალყურის დევნის სრულყოფილი საშუალება, რაც უდავოდ წაადგება საქართველოს სასამართლოებსაც, ერთი-ორად აამაღლებს რა მათ საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებისა და საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხს. ხსენებული მიზნის მისაღწევად ინსტიტუტი კვლავაც ღიია ნებისმიერ პირსა თუ ორგანოსთან თანამშრომლობისათვის.

2012

ISBN 978-9941-0-4933-0

9 789941 049330 >